619
1975

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დროშა

მაისი
№ 5 1975 წ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ. დავითაია — მცირე მიწა 1943 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 5 (461) მაისი. 1975 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1975

გარეკანის პირველ გვერდზე: გამარჯვების დროშის აღმართვა რაიხსტაგზე

მთავარი რედაქტორი რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:

გ. ბახტაძე, თ. ბოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ო. დემეტრაშვილი, გ. დოჩანაშვილი, ს. დურმიშიძე, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ლ. სულაბერიძე, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი
კორექტორი ტ. თაბორიძე



გამარჯვების დროშა რაიხსტაგზე.

# ႢႠႫႠႰႯႥႤႡႠ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1941 წლის 22 ივნისი. ეს თარიღი ტყვიის ლურსმნებით ჩაიჭედა ჩემს გონებაში. ამ დღეს, გამთენიისას ჩვენი ქვეყნის თვალუწვდენელ საზღვრებზე იწივლა პირველმა ტყვიამ... ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანედან შავ ზღვამდე გაიშალა ვეებერთელა ფრონტი. გაჩაღდა უსასტიკესი ბრძოლა. დაიწყო ომი. რომელიც ისტორიაში დიდ სამამულო ომად იწოდება.

ათას ოთხას თვრამეტი დღე და ღამე ებრძოდა ჩვენი ქვეყანა ფაშიზმის ურჩხულს. ებრძოდა შეუპოვრად, სულმოუთქმელად და გამძაფრებით. ვერაგი მტრის დროებითმა წარმატებამ ვერ გასტეხა ჩვენი ხალხი. მტერმა ვერ შეძლო დაენგრია საბჭოთა ერების ერთიანი ოჯახი. საძირკველი ამ ერთიანობისა მტკიცე და უძლეველი აღმოჩნდა.

ათას ოთხას თვრამეტი დღე და ღამე არ შეწყვეტილა ტყვიის ცეცხლი, თვალი არ მიულულავს ზარბაზნის ლულას, არ შემწყდარა ბომბის წივილი და ნგრევის ხმაური. ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის შვილები ერთმანეთის მხარდამხარ შეუპოვრად ებრძოდნენ გააფთრებულ მტერს, გმირობისა და ვაჟკაცობის სასწაულებს ახდენდნენ!

ათას ოთხას თვრამეტი დღე და ღამე თავაუღებლად შრომობდნენ, ოფლს ღვრიდნენ შინ დარჩენილი ადამიანები, იმისათვის, რომ ჩვენს ლაშქარს არ მოკლებოდა ტყვია-წამალი და პური ჩვენი არსობისა.

ათას ოთხას თვრამეტ დღესა და ღამეში, როგორც ყოველთვის, ჩვენს ხალხს წინ მიუძღოდა, რაზმავდა, გამარჯვების რწმენას უნერგავდა, ახალ-ახალი გმირობისათვის აღაფრთოვანებდა, სამშობლოს დასაცავად მოუწოდებდა ჩვენი ეპოქის გონება და სინდისი — დიდი ლენინის მიერ შექმნილი სახელოვანი კომუნისტური პარტია.

ათას ოთხას თვრამეტი დღე და ღამე — ეს ლეგენდად ქცეული ისტორიაა ჩვენი ქვეყნისა. საუკუნეებს გასწვდება ჩვენი ხალხის გმირული შემართება და თავდადება. არც მტრის ტყვიასა და ყუმბარას, არც ყინვასა და თაკარას, არც შიმშილსა და წყურვილს არ შეუშინდა ჩვენი ხალხი. იგი წინ აღუდგა მომხვდურს და კაცობრიობა იხსნა მიხაკისფერი ჭირისაგან.



1945 წ. გამარჯვების პარადი.

ათას ოთხას თვრამეტი დღე და ღამე იტევს ქვეყნიერების ისტორიაში არგაგონილ, არნახულ, უდიდეს ბრძოლებს. თაობიდან თაობებს გადაეცემა გასაოცარი ამბები საბჭოთა ხალხის უშრეტი ენერგიისა და თავდადებისა, მოსკოვის გმირული დაცვისა, ალყაშემორტყმული უკვდავი ლენინგრადისა, ლეგენდარული სტალინგრადის ბრძოლებისა, კავკასიონის უძლეველობისა, ნოვოროსიისკის, სევასტოპოლის, ქერჩის, ბრესტის სიმტკიცისა და შეუდრეკლობისა.

ათას ოთხას თვრამეტი დღე და ღამის შეუპოვარმა ბრძოლებმა მთელ სამყაროს დაუმტკიცა ჩვენი სამართლიანობა და უძლეველობა. ეს მოხდა იმიტომ, რომ ჩვენ შეგვაძლებდა ხალხთა ძმობის დიადმი იდეამ. ამ ძმობამ დაცალეწა ყველა მტერი და ორგული, ამ ძმობამ მოგვიტანა დიადი გამარჯვება.

ათას ოთხას თვრამეტი დღე და ღამის ბრძოლებში მოძმე რუსთა და უკრაინელთა, სომეხთა და ბელორუსთა და სხვა მრავალი ერის შვილებთან ერთად თავგანწირულად იბრძოდა ჩვენი ქართველობა. 600.000-ზე მეტი მეომარი მისცა საქართველომ ფრონტს. ეს ციფრი ქართველი ხალხის სამშობლოსადმი ერთგულებაზე და თავდადებაზე მეტყველებს.

ათას ოთხას თვრამეტ დღესა და ღამეს ძილფხიზლობდნენ ჩვენი დედები. ლოცვა-კურთხევით აცილებდნენ საბრძოლველად მიმავალ შვილებს, არ გვიმხელდნენ წუხილს, გვიმალავდნენ ცრემლებს, ხოლო სიხარულს, სიხარულის ცრემლებს გამარჯვების დღისათვის გვინახავდნენ.



საბჭოთა კავშირის მარშალი გ. ჟუკოვი და საბჭოთა კავშირის გმირი მ. ქანთარია.

ათას ოთხას თვრამეტმა დღე და ღამემ დიდი მსხვერპლი მოითხოვა. მილიონობით ადამიანი შეეწირა სამშობლოს. შინმოუსვლელთა ხსოვნას წმინდად ინახავს ჩვენი ხალხი. როგორც ომის წლებში, დღესაც თრთოლვით ვიმეორებთ: სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

ათას ოთხას მეცხრე დღეს გამარჯვების დროშა აფრიალდა რაიხსტაგზე. ეს დროშა აღმართეს ეგოროვმა და ქანთარიამ. ცოტა ხნის შემდეგ კი მოსკოვში, წითელ მოედანზე, ლენინის მავზოლეუმთან პარტიის ხელმძღვანელთა და მხედართმთავართა ფერხთით დაჰყარეს გამარჯვებულმა საბჭოთა მეომრებმა დამარცხებული და სირცხვილნაჭამი ლეგიონების დროშები.

ამ დღიდან დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში. ერა მშვიდობისა, რომლის მედროშეა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი!

ათას ოთხას თვრამეტი დღე და ღამის ისტორია ასეთია:

დაიწყო 1941 წლის 22 ივნისს, დასრულდა 1945 წლის 9 მაისს.

კეთილმა სძლია ბოროტს!

რევაზ მარგიანი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# ბერლინის შტურმი

ეროვნული ბიბლიოთეკა



შოთა აფრიდონიძე

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დამამთავრებელ ეტაპზე განსაკუთრებული ადგილი უკავია ბერლინის ოპერაციას. საბჭოთა არმიას ამ ოპერაციით უნდა გადაეწყვიტა გერმანიის ცენტრში მტრის უდიდესი დაჯგუფების განადგურებისა და მისი დედაქალაქის აღების უმნიშვნელოვანესი ამოცანა. დასახული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა დააჩქარებდა გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციასა და ფაშისტური გერმანიის კრახს.

ოპერაციის გეგმა ითვალისწინებდა მძლავრი ფრონტალური დარტყმებით მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევას, ცალკეულ იზოლირებულ ნაწილებად მტრის დაჯგუფების გათიშვას, გარშემორტყმასა და განადგურებას, ბერლინის აღებას, ელბაზე გასვლას, რათა იქ საბჭოთა არმია შეერთებოდა მოკავშირეთა ჯარებს. ოპერაციის განხორციელება დაევალა ბელორუსიის 1-ლი (სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. ჟუკოვი), უკრაინის 1-ლი (სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ი. კონევი) და ბელორუსიის მე-2 (სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი კ. როკოსოვსკი) ფრონტების ჯარებს და წითელდროშოვან ბალტიის ფლოტს. ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვან ოპერაციაში ფრონტების კოორდინაცია პირადად უმაღლესმა მთავარსარდალმა ი. ბ. სტალინმა იკისრა.

უმაღლესი მთავარსარდლობის დირექტივის მიღებისა და შექმნილი ვითარების ყოველმხრივი შეფასების შემდეგ ფრონტებმა მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

ბერლინის ოპერაციის დაწყების წინ საბჭოთა ჯარებს ჰყავდათ 2,5 მილიონი მეომარი, ჰქონდათ 42 000 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 6 250 ტანკი და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, 7 500 საბრძოლო თვითმფრინავი. ძალებისა და საშუალებების ასეთი რაოდენობა შესაძლებლობას იძლეოდა შექმნილიყო მოწინააღმდეგესთან შედარებით საერთო უპირატესობა: ცოცხალი ძალის მხრივ 2,5-ჯერ, არტილერიისა — 4-ჯერ, ტანკებისა და თვითმავალი საარტილერიო დანადგარებისა — 4,1-ჯერ, ავიაციისა — 2,3-ჯერ.

ისეთი გრანდიოზული ამოცანის გადაწყვეტა, როგორიც იყო ბერლინის აღება და ფაშისტური გერმანიის საბოლოო განადგურება საკმაოდ მოკლე დროში, მოითხოვდა არა მარტო ჯარების მთელი ძალების დაძაბვას, არამედ კოლოსალურ მატერიალურ საშუალებებსაც — საომარ მასალებს, საწვავს, კვების პროდუქტებს, მედიკამენტებს. სამამულო მრეწველობამ და სოფლის მეურნეობამ ფრონტი უზრუნველყო ყოველივე აუცილებლით. ბერლინის ოპერაციისათვის გაგზავნილი ტვირთით სავსე მატარებლები ერთ მწკრივად რომ ჩაგვერიგებინა, მისი სიგრძე 1200 კილომეტრზე მეტი იქნებოდა.

ფაშისტური გერმანიის ჯარების საბოლოო განადგურება გათვალისწინებული იყო მოკავშირეებთან ერთად, რომლებთანაც საომარი მოქმედების კოორდინაციის შესახებ პრინციპულ შეთანხმებას მიაღწიეს ჯერ კიდევ ყირიმის კონფერენციაზე. 15 აპრილს საბჭოთა უმაღლესმა მთავარსარდლობამ აცნობა მოკავშირეთა სარდლობას ჩვენი ჯარების შეტევის განახლების შესახებ. 16 აპრილს, გათენებამდე ორი საათით ადრე, დაიწყო საარტილერიო მომზადება, რომლის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე მე-3 და მე-5 დამკვრელი, მე-8 გვარდიული და 69-ე არმიების შეტევის უბანი გაანათეს ერთმანეთისაგან 200 მეტრის დაშორებით დადგმული 143 საზენიტო პროჟექტორით. მათი საერთო სიმძლავრე 100 მილიარდი სანთელი იყო. პროჟექტორების სინათლით დაბრ-

## დიდი სამამულო ომის დღიური 1941·1945

...1941 წლის 22 ივნისს, დილის 4 საათზე ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. ომის პირველ დღეს ჩვენი სამშობლოს საზღვრები გადმოლახა გერმანელთა 190 დივიზიამ — 5,5 მილიონმა თავიან-ფეხებიანად შეიარაღებულმა ჯარისკაცმა.

საბჭოთა არმიას მუხანათურად შემოუტია 4 950 თვითმფრინავმა, 3 712 ტანკმა, ათი ათასობით ქვემეხმა, ნაღმსატყორცნმა...

...მოულოდნელი თავდასხმისა და მტრის ჭარბი ძალების მიუხედავად, საბჭოთა ადამიანებმა მასობრივი გმირობა გამოიჩინეს. საზღვრისპირა ციხესიმაგრე ბრესტი ერთი თვის განმავლობაში უმკლავდებოდა მტერს. 25-ათასიანი გარნიზონი თითქმის ნახევარი წელი ინარჩუნებდა სამხედრო-საზღვაო ბაზა ხანკოს ბალტიკაზე. ორ თვეზე მეტ ხანს იბრძოდა გმირული ოდესა. 10 ივლისს დაიწყო ლენინგრადის დაცვა, რომელიც თითქმის სამი წელი გაგრძელდა.

...1941 წლის 30 სექტემბერს დაიწყო ბრძოლა მოსკოვისათვის. საბჭოთა დედაქალაქს უტევდა მილიონზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი, 14 ათასზე მეტი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 1.700 ტანკი, 950 თვითმფრინავი.

19 ოქტომბერს მოსკოვში საალყო მდგომარეობა გამოცხადდა. დედაქალაქის გარშემო თავდაცვითი ზღუდეების მოწყობაში ასეულ ათასობით მოსკოველი იღებდა მონაწილეობას.

7 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლუციის XXIV წლისთავზე, წითელ მოედანზე გაიმართა ტრადიციული სამხედრო პარადი. საბჭოთა არმიის ნაწილები პარადიდან პირდაპირ ფრონტზე მიემგზავრებოდნენ.

5 დეკემბერს ჩვენი ჯარები კონტრშეტევაზე გადავიდნენ და მოსკოვის მიმართულებით 11 ათასზე მეტი დასახლებული პუნქტი გაანთავისუფლეს. განადგურდა მტრის 50 დივიზია.

ეს იყო მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური გერმანიის პირველი სერიოზული დამარცხება.

...1942 წლის ივლისში დაიწყო ბრძოლა კავკასიისათვის. იმავე თვის 17 რიცხვში სისხლისმღვრელი ბრძოლები გა-

მავებულ მტერზე იერიში მიიტანეს საბჭოთა ქვეითებმა, მათ მხარს უჭერდნენ სატანკო ნაწილები.

საბჭოთა მეომრებმა დაძაბული ბრძოლებით გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა და 20 აპრილისათვის უშუალოდ ბერლინს მიუახლოვდნენ. იმავე დღეს 13 საათსა და 50 წუთზე მე-3 გვარდიული არმიის 79-ე მსროლელი კორპუსის შორსმსროლელმა არტილერიამ ფაშისტურ დედაქალაქს ცეცხლი დაუშინა. 21 აპრილს 47-ე და მე-3 დამკვრელი არმიების, მე-9 გვარდიული სატანკო და 1-ლი მექანიზებული კორპუსების შენაერთებმა გადაჭრეს ბერლინის გარშემო ავტოსტრადა და შეიჭრნენ ქალაქის ჩრდილოეთ გარეუბანში. იმავე დროს მე-5 დამკვრელი არმიისა და მე-12 გვარდიული სატანკო კორპუსის შენაერთები შეიჭრნენ ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ გარეუბანში.

ჰიტლერი და მისი უახლოესი წრეები ცდილობდნენ, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, შეეჩერებინათ ჩვენი ჯარების შეტევა. ქალაქში არ წყდებოდა ფოლკსშტურმის რაზმების შექმნა. 22 აპრილს სამოქალაქო და სამხედრო საპყრობილეებიდან გაანთავისუფლეს სისხლის სამართლის დამნაშავეები და ისინიც



კი გამოიყენეს ბერლინის დაცვისათვის. ჰიტლერმა გამოაცხადა, რომ რჩება დედაქალაქში, რათა დაიცვას იგი უკანასკნელ კაცამდე.

საბჭოთა არმია ძლევამოსილ შეტევას განაგრძობდა. 25 აპრილს, დღის 12 საათზე, ბელორუსიისა და უკრაინის პირველი ფრონტების ჯარები ერთმანეთს შეხვდნენ ბერლინის დასავლეთით კეტცინის რაიონში და ამით დაამთავრეს მოწინაალმდეგის ბერლინის დაჯგუფების მთლიანი გარშემორტყმა. იმავე დღეს მდინარე ელბაზე ქ. ტორგაუს რაიონში უკრაინის 1-ლი ფრონტის მე-5 გვარდიული არმიის 58-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის მეწინავე ქვედანაყოფები შეხვდნენ ამერიკის 1-ლი არმიის 69-ე ქვეითი დივიზიის პატრულებს. ეს იყო ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ მხარდამხარ მებრძოლი ორი მეგობრული არმიის ისტორიული შეხვედრა.

ბერლინში დაძაბული ბრძოლა გრძელდებოდა. ჰიტლერელები განსაკუთრებული გააფთრებით იცავდნენ ქალაქის ცენტრალურ (მეცხრე) სექტორს, სადაც ბრძოლები გაჩაღდა 29 აპრილს. ამ სექტორის თავდაცვის სისტემაში იყო წინააღმდეგობის რამდენიმე მძლავრი კვანძი: რაიხსტაგის, საიმპერიო თეატრის (კროლ-ოპერა), შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობები, რომელთა კედლებს ვერ ხვრეტდა მსხვილკალიბრიანი ქვემეხის ჭურვები. ასევე წინააღმდეგობის მძლავრ კვანძებს წარმოადგენდნენ ტირგარტენისა და ზოოლოგიური პარკები. წინააღმდეგობის ყველა ეს კვანძი კარგად იყო მომზადებული ირგვლივი თავდაცვისათვის. მათ ურთიერთშორის ჰქონდათ საცეცხლე კავშირი და ერთმანეთთან შეერთებული იყვნენ დახურული გასასვლელებით.

სათანადო მომზადების შემდეგ 30 აპრილის დილის 4 საათსა და 30 წუთზე დაიწყო რაიხსტაგის შტურმი. მიუხედავად მტრის გააფთრებული წინააღმდეგობისა, 18 საათისათვის საბჭოთა მეომრები უშუალოდ რაიხსტაგის შენობაში შეიჭრნენ. ბრძოლა მიმდინარეობდა თითოეული ოთახისათვის, გასასვლელისათვის, სარდაფისათვის. საბჭოთა მეომრები შენობის ხელ ახალ-ახალ ფართობს ეუფლებოდნენ. 1-ლი მაისის დილით შენობის გუმბათზე ამაყად ფრიალებდა მე-3 დამკვრელი არმიის ალისფერი დროშა, რომელიც აღმართეს ამავე არმიის 150-ე მსროლელი დივიზიის 756-ე მსროლელი პოლკის მზვერავებმა მ. ეგოროვმა და მ. ქანთარიამ.

დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა თითოეული ქუჩის, შენობის, სართულისათვის. განსაკუთრებით სისხლისმღვრელი ბრძოლები გაჩაღდა ჰიტლერული რაიხის შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა სამინისტროების შენობებისათვის.

ბერლინის ყველაზე მაღალი შენობის — საგარეო საქმეთა სამინისტროს გუმბათზე წითელი დროშა აღმართა 22-ე სატანკო-სადესანტო ბრიგადის ბატალიონის კომორგმა, გვარდიის ლეიტენანტმა, სოფელ აბაშის მკვიდრმა გიორგი თეოფანეს-ძე გოგიშვილმა. იგი ფრონტზე მოხალისედ წავიდა და ბრძოლის დიდი გზა განვლო. ბერლინისათვის ბრძოლაში მან შეცვალა ასეულის მეთაური. მისი ხელმძღვანელობით ასეულმა ბერლინის ქუჩებში გაანადგურა მტრის რამდენიმე ქვემეხი, საზენიტო დანადგარი და ორმოცამდე ჰიტლერელი. ამის შემდეგ დაევალა გოგიშვილს დროშის აღმართვა. ეს დროშა სატანკო ბრიგადას 1942 წლის ზამთარში მალოიაროსლავეცთან გადასცა მოსკოვის ახალგაზრდობის დელეგაციამ.

1945 წლის აგვისტოში ტანკისტთა დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაში გ. გოგიშვილიც იყო, მრავალ ბრძოლაში გამოტარებული დროშა მოსკოვის კომკავშირულ ორგანიზაციას დაუბრუნა და სთხოვა, გადაეცათ იგი მოწინავე კომკავშირული ორგანიზაციისათვის. ყოველწლიურად საზეიმო შეკრებაზე ეს დროშა ახლა გადაეცემა მოწინავე სკოლას, რომლის კომკავშირლები დიდ წარმატებებს აღწევენ სწავლასა და ყოფაქცევაში.

ჰიტლერელებისათვის გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა. 30 აპრილს, ფაშისტური დიქტატურის აგონიის დღეებში, ჰიტლერმა, რომლის სინდისსაც ამძიმებს 54,8 მილიონი მოკლული, 90 მილიონი დაჭრილი ადამიანის ბედი, სომარი მოქმედების შედეგად განადგურებული ოთხ ტრილიონ მანეთზე მეტი ღირებულების მატერიალური ფასეულობანი, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა. 2 მაისის 6 საათზე საბჭოთა ჯარებს ტყვედ ჩაბარდა გენერალი ვეიდლინგი. ვინაიდან ვეიდლინგი ამავე დროს ბერლინის გარნიზონის უფროსიც იყო, მას წინადადება მიეცა მოეხდინა მთელი გარნიზონის კაპიტულაცია. 15 საათისათვის ბერლინის გარნიზონმა შეწყვიტა წინააღმდეგობა.

ფაშისტური გერმანიის დედაქალაქი ბერლინი დაეცა. არმია, რომელმაც კაცობრიობას თავს მოახვია მეორე მსოფლიო ომი, ამ ომის დაწყების 2071-ე დღეს თავისსავე დედაქალაქში აღმოჩნდა ტყვედ. ბერლინის დაცემა იყო ფაშისტურ გერმანიასთან ომის დამამთავრებელი ეტაპის უმნიშვნელოვანესი მოვლენა. მან დააჩქარა ფაშისტური გერმანიის უსიტყვო კაპიტულაცია.

ბერლინისათვის ბრძოლაში ჩვენმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა გამოავლინეს მაღალი სამხედრო ოსტატობა და მამაცობა, კიდევ ერთი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს თავისუფლებისათვის საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლის, ფაშისტური ტირანიისაგან ევროპის ხსნის მატიანეში. შენაერთებსა და ნაწილებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ მტრის დედაქალაქის იერიშში, მიენიჭათ „ბერლინის" სახელწოდება. 600-ზე მეტ მეომარს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ოცდაათი კაცი საბჭოთა კავშირის გმირის მეორე ოქროს ვარსკვლავით დაჯილდოვდა. ბერლინის იერიშის ყველა მონაწილე დაჯილდოვდა ამ ისტორიული ბრძოლის აღსანიშნავად დაწესებული მედლით „ბერლინის აღებისათვის".

საბჭოთა მეომრების მამაცობა მოაგონებს მომავალ თაობებს, რომ ბერლინი არასოდეს აღარ უნდა გახდეს აგრესიის ცენტრი, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ რეაქციის ახალი ლაშქრობების პლაცდარმი. ამის ერთ-ერთი საწინდარია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა, რომელიც მტკიცედ მიდის სოციალიზმის მშენებლობის გზით.

## დიდი სამამულო ომის დღიური ·1941·1945·

ჩაღდა სტალინგრადთან. 13 სექტემბერს მტერმა მოახერხა ქალაქში შეჭრა. სტალინგრადის დამცველებმა მთელი მსოფლიო მოიყვანეს აღტაცებაში, ისინი გააფთრებით იცავდნენ თითოეულ ქუჩას, თითოეულ სახლს.

19 ნოემბერს დილის 7 საათსა და 30 წუთზე საბჭოთა ჯარები შეტევაზე გადავიდნენ.

სტალინგრადის ბრძოლებში მტერმა დაჰკარგა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მოქმედი მთელი სამხედრო ძალების დაახლოებით მეოთხედი. მოისპო, დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა მილიონ-ნახევარზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ლიკვიდირებული იქნა რკალში მომწყვდეული მტრის 330-ათასიანი დაჯგუფება. ამ დაჯგუფებიდან მოისპო 147.000 კაცი, 91 ათასი ტყვედ ჩავარდა, მათ შორის 24 გენერალი და ფელდმარშალი პაულიუსი.

განადგურდა მტრის 2 ათასამდე ტანკი, 10 ათასი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი. 3 ათასამდე თვითმფრინავი.

ვოლგაზე მტრის განადგურებას უდიდესი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. აქედან დაიწყო ძირეული გარდატეხა დიდ სამამულო ომში.

...რამდენიმე თვის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ მტერი უკუგდებული იქნა კავკასიიდანაც.

...შექმნილი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ფაშისტმა გენერლებმა ჩაიფიქრეს მძლავრი შეტევის განვითარება კურსკის შვერილთან.

ამ უბანზე ნაცისტებმა თავი მოუყარეს 50 რჩეულ დივიზიას. 900 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, 10 ათასამდე ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 2700-მდე ტანკი, 2 ათასზე მეტი თვითმფრინავი — აი მძლავრი ძალა, რომელზეც ჰიტლერელები განსაკუთრებით დიდ იმედებს ამყარებდნენ.

1943 წლის 5 ივლისს გერმანელები შეტევაზე გადმოვიდნენ. პირველსავე დღეს მტერმა კურსკთან დაკარგა 586 ტანკი, 203 თვითმფრინავი.

კურსკის ბრძოლებში საბჭოთა კავშირ-გერმანიის მხრიდან მონაწილეობას

# დიდი სამამულო ომის დღიური ·1941·1945·

ილებდა 6 ათასზე მეტი ტანკი, დაახლოებით 5 ათასი თვითმფრინავი.

ერთი კვირის შემდეგ საბჭოთა ჯარები კონტრშეტევაზე გადავიდნენ. ზედიზედ იქნა განთავისუფლებული ქალაქები: ორიოლი, ბელგოროდი, ხარკოვი.

კურსკის ბრძოლების შემდეგ ფაშისტური გერმანიის არმიამ ვეღარ შეძლო წელში გასწორება.

...საბჭოთა არმია გაშლილი ფრონტით დაიძრა დასავლეთისაკენ.

...1944 წლის 14 იანვარს ჩვენმა ჯარებმა შეტევა დაიწყეს ლენინგრადთან და ნოვგოროდთან.

9 მაისს სევასტოპოლის აღებით დამთავრდა ყირიმის განთავისუფლება.

...1944 წლის 6 ივნისს საფრანგეთში, ლა-მანშის სანაპიროსთან, როგორც იქნა, გაიხსნა მეორე ფრონტი. მაგრამ გერმანელთა ჯარების ორი-მესამედი კვლავ იბრძოდა აღმოსავლეთ ფრონტზე, სადაც საბჭოთა არმია ძლევამოსილად აგრძელებდა შეტევას.

...1944 წლის 23 ივნისს დაიწყო მძლავრი შეტევა — ოპერაცია „ბაგრატიონი", რომლის შედეგად ჩვენმა ჯარებმა მთლიანად გაანთავისუფლეს ბელორუსია და პოლონეთის ნაწილი. ამ ბრძოლებში განადგურდა მტრის 50 დივიზია.

23 აგვისტოს რუმინეთში იფეთქა ანტიფაშისტურმა აჯანყებამ. საბჭოთა ჯარები შევიდნენ ბუქარესტში.

8 სექტემბერს დაიწყო ბულგარეთის განთავისუფლება, ხოლო 20 ოქტომბერს საბჭოთა და იუგოსლავიის ჯარებმა გაანთავისუფლეს ბელგრადი.

საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიის, საბჭოთა და პოლონეთის ჯარებმა ჩეხოსლოვაკიის და პოლონეთის მთლიანი განთავისუფლება დაიწყეს.

...1945 წლის 12 იანვარს საბჭოთა არმია 1200 კილომეტრი გაშლილი ფრონტით გადავიდა შეტევაზე. ზედიზედ განთავისუფლდა ქალაქები; ვარშავა, ბუდაპეშტი, ბრატისლავა. ჩვენი ჯარები შევიდნენ ვენაში.

3 თებერვალს ჩვენმა ჯარებმა გადალახეს ოდერი და მტკიცე პლაცდარმი შექმნეს ბერლინის შტურმისათვის. ბერლინის ოპერაცია დაიწყო 16 აპრილს.

30 აპრილს საბჭოთა მებრძოლებმა მ. ეგოროვმა და მ. ქანთარიამ რაიხსტაგზე გამარჯვების დროშაააფრიალეს. 2 მაისს ბერლინი დაეცა.

8 მაისს ბერლინის გარეუბანში ხელი მოაწერეს აქტს გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციაზე.

დიდი სამამულო ომი ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრდა.

# გამარჯვების დროშა



ვახტანგ სიხარულიძე

საბჭოთა მეომარი დიდი ბრძოლებით მივიდა ბერლინში...

ჩვენი ჯარების მარწუხი თანდათანავიწროებს ცეცხლის რკალს ბერლინის ცენტრში, სულ უფრო ახლოვდება ჰიტლერის ბუნაგი — იმპერიის კანცელარია, იქვეა რაიხსტაგი, ფაშისტური გერმანიის სამინისტროების შენობები.

მიზანი ახლოსაა, საჭიროა მდინარე შპრეეს და რაიხსტაგის წინ მდებარე მოედნის გადალახვა. მაგრამ ამოცანის შესრულება იოლი როდია, დიდ მსხვერპლს მოითხოვს. ჩვენი სარდლობა კი ომის დამთავრების წინ კიდევ უფრო უფრთხილდება მეომართა სიცოცხლეს, ცდილობს ნაკლები მსხვერპლით მეტი წარმატება მოიპოვოს.

ახლაც, შპრეეს ნაპირას მტერმა ისეთი თავდაცვა მოაწყო, რომ თითქოს შეუძლებელია მისი გარღვევა.

...პოლკის მეთაურმა მაიორმა თედორე ზინჩენკომ თავისთან იხმო მზვერავები სერჟანტი მიხეილ ეგოროვი და უმცროსი სერჟანტი მელიტონ ქანთარია.

— თქვენ, როგორც მოწინავე და უშიშარ მებრძოლებს დიდი პატივი გხვდათ: სამშობლო, კომუნისტური პარტია, ფრონტისა და არმიის სარდლობა გავალებთ რაიხსტაგზე აღმართოთ გამარჯვების წითელი დროშა. დარწმუნებული ვარ, ღირსეულად შეასრულებთ ამ დიდ და მეტად საპატიო ამოცანას.

— არის, ამხანაგო მაიორო! — ერთხმად უპასუხეს მებრძოლებმა.

ქანთარია და ეგოროვი დივიზიის მეთაურს გენერალ-მაიორ ვასილ შატილოვს წარუდგინეს. მან მოიწონა მომავალი ოპერაციის შემსრულებლები.

საბჭოთა მეომრებმა მწვავე ბრძოლების შემდეგ, როგორც იყო, ხელთ იგდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვსსართულიანი უზარმაზარი შენობა. მეორე მხარეს რომ გავიდნენ, ფანჯრებიდან გაიხედეს და სურათებიდან ნაცნობი რაიხსტაგის შენობის კონტურებს მოჰკრეს თვალი. დიდი ბრძოლების ცეცხლით წარმოქმნილი შავი კვამლის ფარდა ხანახევროდ ფარავდა ამ უშმურ, უზარმაზარსვეტებიან ტლანქ შენობას.

ფაშისტებმა შეამჩნიეს ფანჯრებში ჩვენი ჯარისკაცები და ძლიერი ცეცხლი დაუშინეს მათ თავშესაფარს. ჩვენი მეომრები შენობის სქელ კედლებს ამოეფარნენ, რომლებსაც მტრის ჭურვები და ნაღმები ვერაფერს აკლებდნენ. ამ დროს კი შენობის სარდაფებში თავს იყრიდნენ ნეუსტროევის, ლოგვინენკოს, კლიმენკოვის, დავიდოვის, სამსონოვის ბატალიონები, რომლებიც რაიხსტაგის დასალაშქრად იყვნენ გამზადებულნი.

ჩვენი ჯარების იერიშის წინ ამბაურდნენ მოედნის ორი მხრიდან შემოჭარული საბჭოთა ქვემეხები, რომლებიც რაიხსტაგის კარებს და ფანჯრებს პირდაპირი დამიზნებით უშენდნენ ჭურვებს.

განთიადზე კაპიტნების: სტეფანე ნეუსტროევის, კონსტანტინე სამსონოვის და ვასილ დავიდოვის ბატალიონები საწყის პოზიციებზე განლაგდნენ რაიხსტაგზე იერიშის მისატანად. სხვა შენაერთების კიდევ რამდენიმე ბატალიონი იღებდა მონაწილეობას ამ ოპერაციაში.

ერთბაშად შეწყდა ჩვენი არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლი და რაიხსტაგისაკენ დაიძრნენ სტეფანე ნეუსტროევისა და კონსტანტინე სამსონოვის ბატალიონების მოიერიშეები. ისინი მოკლე გადარბენებით თანდათან უახლოვდებოდნენ შენობას. რაიხსტაგის დამცველი გერმანელები არტილერიის მძლავრი ცეცხლის შემდეგ თანდათან გონს მოვიდნენ. ხან აქ, ხან იქ, ქვაფენილზე ეცემოდნენ მტრის ტყვიით განგმირული ან დაჭრილი საბჭოთა მეომრები. დაჭრილები ხოხვით ეცლებოდნენ ბრძოლის ველს და სისხლის ნაკვალევს სტოვებდნენ ასფალტზე. საკაცეებით გამორბოდნენ სანინსტრუქტორები. მომაკვდინებელი ცეცხლის მიუხედავად, ისინი ადგილზევე უწევდნენ დაჭრილებს პირველ დახმარებას. შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის სარდაფში სახელდახელოდ მოეწყო სანიტარული ასეულის საოპერაციო მაგიდა. მებრძოლთა სიცოცხლის შესანარჩუნებლად ჩვენმა ექიმებმა შეუპოვარი ბრძოლა გააჩაღეს.





მოსკოვი. წითელი მოედანი. მარცხნიდან მარჯვნივ — მ. ეგოროვი, კ. სამსონოვი და მ. ქანთარია.

თანდათან მკვეთრად იკვეთებოდა რაიხსტაგის შენობის დეტალები, რომლის წინ მტერმა მოაწყო სანგრები, საცეცხლე წერტები, ტანკსაწინააღმდეგო დაბრკოლებები, დანაღმული ველები. ჩვენი იერიშის გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა მტრის წინააღმდეგობა.

იმისათვის, რომ ჩვენი ტანკები და არტილერიის წინსვლა შეეჩერებინათ, ფაშისტებმა გზების გასწვრივ და სკვერებში გაჩეხეს მრავალწლიანი უზარმაზარი ხეები და ჩახერგეს გზები და მოედნები, წყლით დატბორეს მეტროს სადგურები და გვირაბები. მაგრამ მაინც ვერ შეაკავეს საბჭოთა არმიის შენაერთების, ნაწილებისა და მოიერიშეთა ჯგუფების წინსვლა.

დადგა მედროშეთა მოქმედების საათი.

ნახევარსარდაფის ფანჯრებიდან გადმოხტნენ სერჟანტი მიხეილ ეგოროვი და ტილოს ქსოვილში შეხვეული წითელი დროშით ხელში უმცროსი სერჟანტი მელიტონ ქანთარია. მათ თან ახლავს კაპიტანი ვასილ კონდრაშევი და მეავტომატეთა ასეული უფროს სერჟანტ ილია სიანოვის მეთაურობით.

შეტევა კი გრძელდება. მწყობრიდან გამოსულ მეომრების ადგილს სხვები იკავებენ.

რაიხსტაგისათვის ბრძოლას დიდი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს, მთელი პროგრესული კაცობრიობა მოუთმენლად მოელის იმ წუთს, როცა დამხობილი ფაშისტური გერმანიის თავზე გამარჯვების დროშა აფრიალდება. იციან ეს ჩვენმა მოიერიშეებმა და სწორედ ამისთვის გაათკეცებული ენერგიით მიდიან უკანასკნელ იერიშებზე.

მიხეილ ეგოროვი და მელიტონ ქანთარია უფროს სერჟანტ ილია სიანოვის ასეულთან ერთად მიიწევენ წინ. ამ ჯგუფს იცავს კაპიტან კონსტანტინე სამსონოვის ბატალიონი.

30 აპრილს, 14 საათსა და 25 წუთზე საბჭოთა მეომრების პირველმა ჯგუფებმა გადათელეს გერმანელთა დაცვა და რაიხსტაგის შენობაში შეიჭრნენ, მაგრამ აქ ჩასაფრებულ ფაშისტთა მედგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ. დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა თითოეული ოთახისათვის, თითოეული სართულისა და ასასვლელი კიბისათვის.

რაიხსტაგის შენობაში საბჭოთა მოიერიშეების შეჭრის პირველსავე წუთებში, პირველ სართულზე, უზარმაზარ კოლონადებს შუა გაიელვა გამარჯვების წითელმა დროშამ, რომელიც რიგრიგობით მიჰქონდათ ქანთარიასა და ეგოროვს. მათ თან მიჰყვებოდნენ დამცველი ასეულის მეომრები.

ბრძოლით ალტყინებულ საბჭოთა და გერმანელ მეომრებს მელიტონ ქანთარიამ და მიხეილ ეგოროვმა შეუმჩნევლად აუარეს გვერდი, ვიწრო კიბით დაიწყეს მესამე სართულისაკენ სვლა, მაგრამ მოულოდნელი დაბრკოლება გადაეღობათ წინ: ბომბის პირდაპირი მოხვედრით კიბის საფეხურები ჩამონგრეულიყო.

— აქ მომიცადე, — უთხრა ქანთარიამ ეგოროვს, — პირველ სართულზე ხის მისადგმელ კიბეს მოვკარი თვალი. ახლავე მოვიტან.

ქანთარია არ მოერიდა გარშემო გაჩაღებულ ხელჩართულ ბრძოლებს და მეომართა ჯგუფის თანხლებით ძირს დაეშვა. მალე მონახა კიბე და სწრაფად აარბენინა ზევით.

ხის კიბე კარგად მოერგო ჩამონგრეულ ადგილს და მებრძოლებმა გზა განაგრძეს მესამე სართულისაკენ, მაგრამ აქაც, მესამე სართულზეც ამოეღწიათ ფაშისტებს და სისხლისმღვრელი ბრძოლები გაეჩაღებინათ. ამოქმედდა სიანოვის, ქანთარიას და სხვა მებრძოლების ავტომატები, მტერი მოცელეს და ერთ მიყრუებულ კუთხეს შეაფარეს თავი.

ჭერში ასასვლელთან ბრძოლა გრძელდებოდა. იქ მისვლა სახიფათო იყო. ამიტომ ხის კიბე მიაყუდეს ჭერთან, გამოანგრიეს იგი და მეომრები ამ გზით რაიხსტაგის სახურავზე აღმოჩნდნენ.

რაიხსტაგის სახურავს გერმანელები უშენენ არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლს. ყოველ ნაბიჯზე ფეთქდება ჭურვები და ნაღმები.

მიხეილ ეგოროვი და მელიტონ ქანთარია თვალით ეძებენ მოხერხებულ ადგილს გამარჯვების წითელი დროშის დასამაგრებლად. მას ამაყად უნდა ეფრიალა დამარცხებული ბერლინის თავზე!

ამისთვის რაიხსტაგის გუმბათი აირჩიეს.

გუმბათამდე ოცდაათიოდე მეტრილა დარჩათ, როცა საიდანღაც მოწინააღმდეგის ტყვიამფრქვევი აკაკანდა და მისმა ჯერმა სახურავს გადაუარა. ტყვიამ ქვედა კიდურზე გაკენწლა მიხეილ ეგოროვი. მან ჩაიმუხლა.

— ხომ არ დაიჭერი? — შესძახა ქანთარიამ.

დროშას ჩაბღაუჭებული ეგოროვი წამოდგა და მშვიდად უპასუხა:

— არაფერია, ოდნავ გამკაწრეს.

სიანოვის ჯგუფმა ტყვიამფრქვევი ჩააჩუმა.

შებინდდა. მედროშეებმა წინსვლა განაგრძეს.

ა, გუმბათიც!

მელიტონ ქანთარიამ და მიხეილ ეგოროვმა ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის ბრწყინვალე გამარჯვების წითელი დროშა რაიხსტაგის ფრონტონზე აღმართულ სკულპტურულ ჯგუფს მიამაგრეს.

რუსმა და ქართველმა ჯარისკაცებმა მაგრად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს, ავტომატების სალუტი მისცეს გამარჯვების დროშის პატივსაცემად.

— გვეჩვენებოდა, რომ იმ ამაღელვებელ წუთებში ჩვენ, ორ საბჭოთა ჯარისკაცს მთელი მსოფლიო გვადევნებდა თვალყურს, — ამბობს მელიტონ ქანთარია, როცა იმ წუთებს იგონებს.

1945 წლის პირველ მაისს, ადრე დილით ბერლინის მრავალი კუთხიდან რაიხსტაგის სახურავზე დაინახეს ამაყად მოფრიალე გამარჯვების დროშა. ბერლინის სახლების სახურავებზე, აივნებსა და ფანჯრებზე მაშინვე აფრიალდა თეთრი ალმები, რაც მტრის მიერ ფარ-ხმალის დაყრასა და კაპიტულაციას გვაუწყებდა.

2 მაისს, დილით, დამხობილი ფაშისტური გერმანიის არმიის ბერლინის დაჯგუფებამ წინააღმდეგობა შეწყვიტა და იარაღი დაჰყარა.

რაიხსტაგის კოლონადებთან ეხვეოდნენ და ერთმანეთს დიად გამარჯვებას ულოცავდნენ საბჭოთა არმიის გენერლები, ოფიცრები, ჯარისკაცები — მრავალეროვანი დიადი ქვეყნის შვილები. კოლონადებსა და კედლებზე სამახსოვრო წარწერები დატოვეს მებრძოლებმა.

მალე ოფიცრები: სტეფანე ნეუსტროევი, კონსტანტინე სამსონოვი, ვასილ დავიდოვი, უფროსი სერჟანტი ილია სიანოვი, სერჟანტები მიხეილ ეგოროვი და მელიტონ ქანთარია გამარჯვების დროშით ბერლინიდან მოსკოვს გაფრინდნენ. გამარჯვების დროშა ზეიმით გააცილეს საბჭოთა არმიის სარდლობამ და გარნიზონმა, მას გზაში საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს ვარშავასა და მინსკში.

მოსკოვის ტუშინოს აეროდრომი. დასაჯდომი მოედნის გასწვრივ ჩამწკრივებულა მოსკოვის გარნიზონის ჯარები. რაიხსტაგის ოპერაციის გმირებს თვითმფრინავიდან გამოაქვთ გამარჯვების დროშა, გაისმის მუსიკის საზეიმო ხმა და საარტილერიო სალუტი. დროშა საპატიო ყარაულმა ჩაიბარა.

რამდენიმე დღის შემდეგ გამარჯვების დროშა წითელ მოედანზე გამართულ გამარჯვების პარადზე მიფრიალებდა. იგი ხელთ ეპყრა მელიტონ ქანთარიას.

25 ივნისს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობის ბანაკის წარმომადგენლებისა და საპატიო ყარაულის თანხლებით, გამარჯვების დროშა მუდმივ შესანახად საზეიმო ვითარებაში გადაეცა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ცენტრალურ მუზეუმს.





# ეპოქის დიდი მემატიანე

მიხეილ შოლოხოვმა უკვე კარგა ხანია სიტყვის უბრწყინვალესი ოსტატის სახელი მოიხვეჭა მთელ მსოფლიოში; იგი ეკუთვნის რჩეულთა შორის რჩეულების რიცხვს. მისი დიდებული რომანები — „წყნარი დონი", „გატეხილი ყამირი", „ისინი იბრძოდნენ სამშობლოსათვის", მისი მშვენიერი მოთხრობები, მისი მძაფრი პუბლიცისტური წერილები — ესაა მარად ცოცხალი და განუმეორებელი მატიანე რუსეთის ცხოვრებისა, დაწყებული პირველი მსოფლიო ომით და დამთავრებული ჩვენი დღეებით.

მიხეილ შოლოხოვი დაიბადა 1905 წელს, 24 მაისს, დონზე, ხუტორ კრუჟილინში. მომავალი მწერალი ბავშვობის წლებიდანვე გაეცნო ხალხის ყოფას, მის ტრადიციებს, მის მდიდარ სულიერ სამყაროს. თავის ავტობიოგრაფიაში მწერალი აღნიშნავს: „1918 წლამდე ვსწავლობდი გიმნაზიაში, მაგრამ იმ ხანებში დაწყებულმა სამოქალაქო ომმა შემაწყვეტინა მეცადინეობა, და 1918 წლიდანვე დავიწყე მუშაობა. ხუთი წლის მანძილზე მრავალი პროფესია გამოვიცვალე"... 1920 წელს, როცა თეთრგვარდიელები საბოლოოდ გაძევებულ იქნენ დონის ოლქიდან, თხუთმეტი წლის შოლოხოვი აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. მომდევნო წლებში იგი აქტიურად იბრძოდა კულაკური ბანდების წინააღმდეგ, რომლებიც იმ დროისათვის აქა-იქ შემორჩნენ და გააფთრებით ებრძოდნენ ყოველივე ახალს; მწერალ ვიტალი ზაკრუტკინის ცნობით, ამ ბრძოლების დროს ახალგაზრდა შოლოხოვი ერთხელ ტყვედ შეიპყრეს მახნოელებმა და იგი დაჰკითხა თვითონ ნესტორ მახნომ. მწერალი რაღაც სასწაულით გადარჩა და მალე ხელიდან დაუსხლტა ბანდიტებს. ამ ბრძოლებში მონაწილეობამ გაამდიდრა მისი გამოცდილება და თავისი იმდროინდელი დაკვირვებანი ახალგაზრდა მწერალმა შესანიშნავად გამოიყენა თავის მომავალ ნაწარმოებებში.

1922 წლიდან შოლოხოვი მოსკოვში გადადის საცხოვრებლად. ამ ხანებში ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გამოჩნდა მისი პირველი ნაწარმოებები. 1926 წელს გამოვიდა შოლოხოვის პირველი დიდი კრებული „დონური მოთხრობები", რომელმაც თავიდანვე ფრიად მაღალი შეფასება დაიმსახურა როგორც ლიტერატურულ საზოგადოებრიობაში, ისე მკითხველთა ფართო მასებში.

1928 წელს ჯერ ჟურნალ „ოქტიაბრში" იბეჭდება და სულ მალე ცალკე წიგნად ქვეყნდება შოლოხოვის სახელგანთქმული რომანის „წყნარი დონის" პირველი წიგნი. ამ რომანს თავიდანვე ყველა ალტაცებით შეეგება. ა. ვ. ლუნაჩარსკი წერდა, რომ ეს ნაწარმოები გვაგონებს ყველა დროის რუსული ლიტერატურის საუკეთესო შედევრებსო.

და მართლაც, „წყნარი დონი", ესაა რომანი — ეპოპეა, რომელიც აღბეჭდავს ყველაზე მძაფრსა და ქარიშხლიან ისტორიულ ეპოქას. რით გაიმარჯვა შოლოხოვმა? იმით, რომ იგი წერს სიმართლეს და მუდამ მართალია აწმყოსა და მომავლის წინაშე. ამ დიდი, უზარმაზარი ტალანტის მქონე მხატვარმა შესძლო ეჩვენებინა ჯერ პირველი მსოფლიო ომი, შემდეგ, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციაც, შესძლო ეჩვენებინა, თუ როგორ მოხდა, რომ გლეხთა მრავალმილიონიანი მასები, კერძოდ, მუდამ შფოთიანი დონის კაზაკობა გადაჭრით დადგა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე, გაჰყვა კომუნისტურ პარტიას და მის მიერ ნაჩვენები გზა მიიჩნია ერთადერთ სწორ და მართალ გზად. მწერალმა ისიც შესანიშნავად იცოდა, რომ ამ ეპოქალურ ძვრებს თან სდევდა გააფთრებული კლასობრივი ბრძოლა; ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას წინ აღუდგნენ თეთრგვარდიელთა ურდოები, უცხოელი ინტერვენტები, შეძლებული კაზაკები, მაგრამ ხალხის სიმართლემ თავისი გაიტანა. იყვნენ ამ ბრძოლაში გზაამნეულნიც და სწორედ მათ რიცხვს ეკუთვნის ეპოპეის მთავარი გმირი — გრიგოლ მელეხოვი, რომელსაც სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ალარსად მიესვლება, ის იძულებულია გაექცეს მთელ ქვეყანას, გაექცეს თეთრებსაც, გაექცეს წითლებსაც, თავის ნათესავებს, ახლობლებს, თავის წყნარ დონს, საკუთარ თავს. ეს ტრაგიკული პიროვნებაა და მწერალმაც მისი ცხოვრება გაბედულად, შეუფერავად და შეულამაზებლად დახატა.

„წყნარი დონი" ეკუთვნის იმ ნაწარმოებთა რიცხვს, რომელთა ერთხელ წაკითხვას ვერავითარ შემთხვევაში ვერ დასჯერდები. ის ბევრჯერ დაგაბრუნებს თავისთან, რომ ისევ და ისევ იტრიალო შოლოხოვის ქვეყანაში. ომის წინ მე სამ თვეს ვიმყოფებოდი ნოვოჩერკასკში, რომელსაც დონის კაზაკების დედაქალაქს ეძახიან. მაშინ მე მთელ სიგრძე-სიგანეზე მოვიარე დონის ოლქის მიდამოები. თითქოს ხელახლა ვკითხულობდი შოლოხოვის ეპოპეას. როგორი ნაცნობი და ახლობელი იყო ეს სტანიცები, ხუტორები, მინდვრები, თვითონ ხალხი, და ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს აგერ, სადღაც გზაჯვარედინზე გამოჩნდება გრიგოლ მელეხოვი ან აქსინია და დაგიძახებს — მიშველეო, ან დაიწყება ცხენოსანთა უეცარი იერიში.

ხოლო პეიზაჟები! აქ რომ დადიხარ, დონის ტრამალებში, ჩაოქროვილ მზესუმზირებს რომ უყურებ, ან გაზაფხულზე წამოზრდილ ჯეჯილებს, დილაობით მძივად ასხმული ნამი რომ ჰკიდიათ, ან ცის ლურჯ ზეწარს, წვიმას სუფთად რომ გაურეცხავს, ყველაფერი ეს ცა და მიწა კი არა, „წყნარი დონიდან" ამოხეული ფურცლები გგონია.

„წყნარი დონის" ოთხ ტომს მალე თან მოჰყვა „გატეხილი ყამირი", შესანიშნავი რომანი საკოლმეურნეო მოძრაობის გამარჯვებაზე. აქ გამოჩნდა ახალი, კომუნისტური საზოგადოების მშენებლების მკაფიოდ გამოძერწილი სახეები. ესენია ხუტორ გრემიაჩი ლოგის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სემიონ დავიდოვი და პარტუჯრედის მდივანი მაკარ ნაგულნოვი. პირველი მათგანი ოცდახუთიათასელი მუშაა, პუტილოველი ზეინკალი, თავისი მხრებით რომ გადაიტანა მთელი სიმძიმე და სიძნელე პირველი კოლმეურნეობის ჩამოყალიბებისა და განმტკიცებისა, მეორე — ასევე თავგანწირული და თავდადებული ჯარისკაცი რევოლუციისა, სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გამოვლილი, ახლა, ოცდაათიან წლებში გზას რომ უხსნის სოფლის ღატაკებს ნათელი ცხოვრებისაკენ. მაკარ ნაგულნოვი არის სრულყოფილი გამოხატულება იმისა, რასაც რევოლუციის უჭკნობი რომანტიკა ეწოდება.

საერთოდ, „გატეხილი ყამირიდან" ჩვენს წინაშე წარმოსდგებიან მონუმენტური, განსაცვიფრებელი უბრალოებით და სისადავით დახატული სახეები, რომლებიც სრული უფლებით შედიან მსოფლიო ლიტერატურის საუნჯეში... ეს კლასიკური სახეებია. ერთი მათგანი — დავიდოვი — დინჯია, წყნარი, დაფიქრებული, ყველაფერი მისხალ-მისხალ რომ აქვს აწონილი, შვიდჯერ რომ ზომავს და ერთხელ სჭრის, ხოლო მეორე — ნაგულნოვი — ფიცხია, დაუდეგარი, მუდამ შემართული და არ იცი როდის იფეთქებს. დაუმატეთ მათ პაპა შჩუკარი, განუყრელად რომ ახლავს თან მაკარს და ვინ იცის, რაზე არ ესაუბრება. პაპა შჩუკარი თამამად შეიძლება დავუყენოთ გვერდით კოლა ბრუნიონსაც, მამაც ჯარისკაც შვეიკსაც, უილბლო საჭურველთმტვირთველ სანჩოსაც. განმარტება არ სჭირდება იმას, რომ ყველა ისინი ფრიად თავისებურნი არიან, არა ჰგვანან ერთიმეორეს და ერთ ყალიბში არ არიან ჩამოსხმულნი, მაგრამ ეს თავთავიანთი კეთილი ეროვნული იუმორით აღბეჭდილი განუმეორებელი სახეები აუცილებელნი არიან რომანტიკული საწყისის გვერდით. ესაა კომიკური ჰეროიკულის გვერდით, რათა მწერალმა უფრო სრულყოფილად, უფრო გაშლილად წარმოაჩინოს ცხოვრება მთელი სირთულითა და მრავალფეროვნებით.

დიდი სამამულო ომის თემას მიუძღვნა მიხეილ შოლოხოვმა ჯერ დაუმთავრებელი რომანი „ისინი იბრძოდნენ სამშობლოსათვის" და მოთხრობა „ბედი კაცისა"... ამ ნაწარმოებების ფურცლებზე ნათლად გამოჩნდა საბჭოთა ადამიანების გმირული ბრძოლა შემოსეული ფაშისტური ურდოების გასანადგურებლად, სამშობლოს თავისუფლების დასაცავად.

მთელი საბჭოთა ქვეყანა, მთელი მოწინავე კაცობრიობა ულოცავს დიდ საბჭოთა მწერალს დაბადების სამოცდაათი წლისთავს. მთელი სულითა და გულით ულოცავს მას ამ დღეობას ქართველი ხალხიც და უსურვებს ყველა სიკეთეს, რაც კი შეყვარებულმა მკითხველმა შეიძლება უსურვოს საყვარელ მწერალს, უსურვებს დღეგრძელობას და მრავალ ახალ შემოქმედებით გამარჯვებას დიდი ადამიანური სიმართლისათვის ბრძოლის ძნელ გზაზე.

გიორგი ნატროშვილი



რ. თ ა რ ხ ა ნ-მ ო უ რ ა ვ ი — გამარჯვების მახარობელი.



ს. კ ე ნ ჭ ა ძ ე — 1945 წლის გაზაფხული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექვსასი ათასზე მეტი მეომარი
მისცა საქართველომ ფრონტს.
ყოველი მესამე მათგანი
ბრძოლის ველზე დაეცა
საბჭოთა სამშობლოს
თავისუფლებისა და დამოუკიდებ-
ლობის დაცვისას. ახლაც კი
საქართველოს ქალაქებსა და
სოფლებში შეხვდებით ძაძით
მოსილ ქალებს, რომლებიც
გლოვობენ დაღუპულ მამებს,
ქმრებსა და შვილებს.
ეს გლოვა ჩვენთვის
წმიდათაწმიდაა.
მარადიული ხსოვნა და
მარადიული დიდება იმათ,
ვინც ვერ დაბრუნდა
ომის ცეცხლოვანი გზებიდან!

ლ. ბრეჟნევი.



ფორე მოსულიშვილის დედა-
თებრო

თ. არჩვაძის ფოტ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ...ო დაიდარდო, დედაო...

**გიორგი ლეონიძე**

1943 წლის ნოემბერში ტამანის ნახევარკუნძულზე ვინახულე უცნობი ქართველი მეომრის საფლავი, ლევანი რქმეოდა.

ღიმილის ბიჭი ვიყავი,
ბეჭზედ არწივი მეხატა,
ცხრამეტი წლისა შევსრულდი,
ოცი არ გადამეხადა,
სამშობლოს დროშა მეჭირა,
მტერს ვეცემოდი მეხადა!

ვისაც უნდოდა, ქართველი
რომ გამხდარიყო ხიზანი,
დავკარი, ვიყავ მართალი,
ვით ჩემი ტყვიის მიზანი...

ნუ დაიდარდებ, დედაო,
მწარე სიკვდილის სევდასა.
დღეო, გადიდდი, გადიდდი,
შვილი ეყრება დედასა!

არ დაიდარდო, დედაო,
რაც მე სიკვდილით გაწყინე;
მე შენი ძუძუს ნათელი
საქვეყნოდ გამოვაბრწყინე.

მე გაგიხუნე ლეჩაქი,
მაგრამ დაგხურე შუქური,
სამშობლოსათვის დავთხიე
სისხლ-ცვარი სიჭაბუკური.

მე არ დამკარგავს სამშობლო,
სულ ვეხსომები ლევანი,
სანამდის საქართველოში
იწურებოდეს მტევანი...

მტერთან ჩემ სიკვდილს ნუ იტყვით,
დამალეთ ჩემი სამარი,
თუ მტერმა გკითხოს, უთხარით,
კრემლშია, სტალინთან არი!

და თუ სტალინმა მიკითხოს,
უთხარ, არ ვიყავ ჯაბანი,
იქ ვდგევარ, სადაც ნათობენ
სტალინის მამა-პაპანი!

ცხრა ძმათ მეათედ მიმიღეს,
პირზე მაყარეს ვარდები,
დაჭრილს, დამძრალს და გზადაღლილს
დამხურეს მუზარადები.

თუ გაუჭირდა სამშობლოს,
კვლავ ცეცხლით დავიდაგებით,
ჩვენ გამოვამტვრევთ საფლავებს,
ხმლით ქართლის მთებზე დავდგებით.

არ დაიდარდო, დედაო,
ნუ მიეცემი სევდასა.
დღეო, გადიდდი, გადიდდი,
შვილი ეყრება დედასა!

1944.



# 600 000-ზე მეტი...

● საქართველოდან დიდ სამამულო ომში მონაწილეობდა 600 ათასზე მეტი ადამიანი.

● ჩვენმა რესპუბლიკამ ომში დაკარგა 200 ათასზე მეტი კაცი.

● საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა საქართველოს 137 წარმომადგენელს.

● დიდ სამამულო ომში ჩვენი რესპუბლიკის ორას ორმოც ათასზე მეტი წარმომადგენელი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით.

● საქართველოდან გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ იბრძოდა 23 ათასზე მეტი ოფიცერი, 46 გენერალი და ადმირალი.

● ჩვენი რესპუბლიკიდან ფრონტზე 16 ათასი ქალი იბრძოდა.

● დიდი სამამულო ომის პერიოდში რესპუბლიკის მრავალი მშრომელი დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. მედლით „მამაცური შრომისათვის 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში“ დაჯილდოვდა 333.344 კაცი, მედლით „კავკასიის დაცვისათვის“ — საქართველოს 46.191 წარმომადგენელი.

● 1943 წლის იანვრისათვის საქართველოში 74 საევაკუაციო ჰოსპიტალი მუშაობდა, რომლებშიც 38.030 საწოლი იყო.

● 1945 წლის 1 აპრილამდე საქართველოს თეატრებისა და ფილარმონიის კოლექტივებმა ჯარის ნაწილებში და ჰოსპიტლებში 25.626 ათასამდე საშეფო კონცერტი და წარმოდგენა გამართეს.

● დიდი სამამულო ომის პირველსავე დღეებში საქართველოს კომპარტიამ ფრონტზე გაგზავნა 52 ათასი კომუნისტი — თავისი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

● დიდი სამამულო ომის წლებში მზიური აფხაზეთიდან სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა 55.487 მეომარი.

● აფხაზეთის ასს რესპუბლიკიდან მტერთან ბრძოლაში გმირულად დაეცა 17.486 კაცი.

● აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ სამშობლოს მისცა ოცი საბჭოთა კავშირის გმირი.

● აფხაზეთის ოთხ მკვიდრს: ივანე ვანაჩას, ნესტორ წულაიას, არტურ შუშანიანს და ივანე ერემინს, მთავრობის სხვა ჯილდოებთან ერთად, მკერდზე უბრწყინავთ „დიდების“ სამივე ხარისხის ორდენები.

● სამამულო ომის პირველ წელს საბჭოთა არმიასა და ფლოტში წავიდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის ორგანიზაციის შემადგენლობის თითქმის ნახევარი.

● კავკასიის დაცვის დღეებში აფხაზეთის მშრომელები გმირულად იცავდნენ უღელტეხილებს. სახედრებით, ცხენებით, ხშირად ზურგითაც კი ეზიდებოდნენ მებრძოლებისათვის საჭირო ტვირთს, ანადგურებდნენ მტრის პარაშუტისტებსა და დივერსანტებს.

● აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში მედლით „კავკასიის დაცვისათვის“ დაჯილდოვდა 8.777 კაცი.

● სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან დიდ სამამულო ომში მონაწილეობდა 20 000 კაცი.

● ომის დროს სამხრეთ ოსეთიდან ფრონტზე მოხალისედ წავიდა 4.618 კომკავშირელი.

● ფაშისტებს გმირულად ებრძოდა სამხრეთ ოსეთიდან ფრონტზე მოხალისედ წასული 561 ქალი.

● სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 8 წარმომადგენელს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება.

● საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან დაჯილდოებულია 6000 კაცი.

● სატანკო კოლონა „საქართველოს კოლმეურნისა“ და თვითმფრინავების ესკადრილიის „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელებმა 24 მილიონი მანეთი შეაგროვეს.

# ლეგენდარული ნოვოროსიისკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიგანტური ნალივით შეჭრილა ცემესის ყურე მარხოტის ქედის კალთებში. აქ მთელ ცისფერ ხაზზე გაშლილა ქალაქი-ნავსადგური ნოვოროსიისკი — რუსეთის შავი ზღვის ჭიშკარი. ამ ქალაქის ასაკი არც თუ ისე დიდია — სულ 137 წელი. მაგრამ როგორი! გმირობითა და სახელოვანი შრომითი საქმეებით აღსავსე წლები.

ნოვოროსიისკის სახელთან დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის ისტორიის ბევრი სახელოვანი ფურცელი. ნოვოროსიისკმა სახელი გაითქვა რევოლუციის წლებში, თავდადებული შრომის ნიმუშები გვიჩვენა პირველი ხუთწლედების პერიოდში, მტრისათვის მიუვალ ციხესიმაგრედ იქცა დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში.

ეს წერილი მკითხველს გააცნობს ნოვოროსიისკის სახელთან დაკავშირებულ ლეგენდადქცეულ შვიდთვიან ეპოპეას. დიდი სამამულო ომის წლებში მტერმა ნანგრევებად აქცია ქალაქი, მაგრამ იგი მაინც არ დანებდა: დარჩა სრულ საბრძოლო მწყობრში, მძლავრ დარტყმებს აგემებდა ფაშისტ დამპყრობთ. საბჭოთა ჯარისკაცებმა მტერი შეაჩერეს ქარხანა „ოქტიაბრის“ კედლებთან და არ მისცეს წინ წამოწევის საშუალება.

ნოვოროსიისკის გმირმა დამცველებმა უდიდესი მსხვერპლის ფასად შავი ზღვის სანაპიროზე ამიერკავკასიისაკენ მიმავალი გზა გადაუღობეს მტერს, ხოლო საბჭოთა ჯარების შეტევითმა ოპერაციამ ნაცარტუტად აქცია ფაშისტთა მიერ დიდი ხნის მანძილზე აგებული საგანგებოდ გამაგრებული თავდაცვითი სიმაგრეების სისტემა „ცისფერი ხაზი“. ამიტომაც ნოვოროსიისკელთა განსაკუთრებული გმირობისა და თავდადების ნიშნად ქალაქ ნოვოროსიისკს მიენიჭა გმირი ქალაქის საპატიო წოდება.

ნოვოროსიისკის იერიშის ბედი გადაწყვიტა მე-18 სადესანტო არმიამ, რომლის სარდალი იყო კონსტანტინე ლესელიძე, ხოლო პოლიტგანყოფილების უფროსი — ამჟამად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ბრეჟნევი. ამ არმიის სარდლად დანიშვნისთანავე ლესელიძე ნოვოროსიისკის ოპერაციის მომზადებას შეუდგა. ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის სარდლობის გადაწყვეტილებით, „ცისფერი ხაზის“ გარღვევისა და გერმანელ ფაშისტთა მე-17 არმიის მოსპობისათვის მთავარი დარტყმა ციხესიმაგრედ ქცეულ ნოვოროსიისკის რაიონში უნდა განხორციელებულიყო. სწორედ აქ უნდა გადაწყვეტილიყო დიდი ბრძოლის ბედი, რადგანაც ამ დიდმნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის დაკარგვის შემდეგ ტამანზე გერმანელთა მდგომარეობა ძირფესვიანად შეირყეოდა. ლესელიძე გულმოდგინედ სწავლობდა მტრის მოგერიების სისტემას და მის გონებაში თანდათან ისახებოდა ნოვოროსიისკის ოპერაციის გეგმა.



სარდალი გადამწყვეტ მნიშვნელობას ნოვოროსიისკის ახლომდებარე „მცირე მიწას“ ანიჭებდა. მტრის ზურგში ოცდაათი კვადრატული კილომეტრის შიშველ კონცხზე უმიშარი საზღვაო ქვეითი რაზმი და სხვა ნაწილები გამაგრებულიყვნენ. აქ, „მცირე მიწის“ ამ პლაცდარმზე სადესანტო ჯარების ძლიერი დაჯგუფება იმყოფებოდა მაიორ ცეზარ კუნიკოვის მეთაურობით. ამ გმირული რაზმის ამოცანა იყო ნოვოროსიისკის სამხრეთ-დასავლეთით ქალაქის რადიოსადგურისა და თევზის ქარხნის რაიონში გადასხდომა და ძირითადი სადესანტო ძალების მისვლამდე პლაცდარმის შენარჩუნება.

კუნიკოველთა დარტყმა მოულოდნელი და მრისხანე იყო. მეზღვაურებმა გადალახეს მავთულხლართებიანი დანაღმული ველები და მტერი სანაპირო სიმაგრეებიდან გარეკეს.

გერმანელები გონს მოვიდნენ — მხოლოდ ახლაღა შენიშნეს, რომ მათ წინააღმდეგ მეზღვაურთა მცირერიცხოვანი ჯგუფი იბრძოდა და კონტრშეტევაზე გადმოვიდნენ. მამაცი მებრძოლები რამდენიმე დღეღამის განმავლობაში იბრძოდნენ გარემოცვაში. კუნიკოველთა წარმატებას შენარჩუნება და კიდევ უფრო განმტკიცება უნდოდა.

სარდალს ფრონტიდან მიღებული ცნობებით კი არა, საკუთარი თვალით უნდოდა შეემოწმებინა „მცირე მიწაზე“ შექმნილი ვითარება, შეეფასებინა ძალთა თანაფარდობა, პირადად დაერწმუნებინა რიგითი მებრძოლები, რომ მას „დიდი მიწის“ მხარდაჭერის სრული იმედი ჰქონდა და დაიმედებული იყო სადესანტო ოპერაციის წარმატებაში.

ლესელიძემ და მისმა თანამგზავრებმა — საინჟინრო ჯარების უფროსმა, გენერალ-მაიორმა ჟურინმა და არმიის პოლიტგანყოფილების უფროსმა ბრეჟნევმა მთლიანად შემოიარეს „მცირე მიწა“, დაათვალიერეს საფორტიფიკაციო სამუშაოთა მიმდინარეობა, საზღვაო ქვეითი ნაწილების, 176-ე დივიზიის ჯარისკაცთა მეწინავე პოზიციები, შეამოწმეს შენიღბვის მდგომარეობა, აგრეთვე მე-6 მსუბუქი საარტილერიო ლეგიონის არტილერისტთა მოქმედების სიზუსტე.

სარდალი დარწმუნდა, რომ მტრის მოგერიებისათვის ბევრი რამ იყო გაკეთებული. მისი მითითებით დაიწ-



მე-18 არმიის სარდალი, გენერალი კონსტანტინე ლესელიძე (ცენტრში).

ყეს სასწრაფო სამუშაოები, რათა გაეძლიერებინათ და უფრო სრულეყოთ საცეცხლე საშუალებათა პოზიციების შენიღბვა.

ნოვოროსიისკის შტურმის გეგმა ლესელიძის გონებაში 1943 წლის აპრილის სისხლისმღვრელ თავდაცვით ბრძოლებში უკვე სავსებით გამოიკვეთა.

მალე ეს გეგმა მთავარსარდლობის ბანაკისთვის გახდა ცნობილი. მთავარმა ბანაკმა ჩრდილო კავკასიის ფრონტის სარდლობას მისცა მტკიცე დირექტივა — მიეღო მეთვრამეტე არმიის სარდლობის მიერ შემუშავებული ნოვოროსიისკის აღების გეგმა.

ამ დროისათვის მეთვრამეტე არმია ფრონტის ჯარებს შორის ერთიანობით და მონოლითურობით გამოირჩეოდა. ლესელიძეს კარგად ესმოდა, რომ ჯარისკაცისა და გენერლის საბრძოლო თანამეგობრობა ბევრად წყვეტდა ომის ბედს და ამიტომ მუდამ ყურადღებით, გულითადად ესაუბრებოდა ჯარისკაცებს მიწურებში, ტრანშეებში, ბლინდაჟებში, წინა ხაზზე. ასევე მტკიცე ურთიერთობა სუფევდა ხელმძღვანელებსა და ოფიცრებს შორის. სარდლობასა და სამხედრო საბჭოს სათავეში ედგნენ გამოცდილი სამხედრო სპეციალისტები და პოლიტმუშაკები. სემიონ კოლონინი — სამხედრო საბჭოს პირველი წევრი — წითელი არმიის კადრის პოლიტმუშაკი იყო. მას არმიაში იცნობდნენ როგორც პრინციპულ, უკომპრომისო და ამავე დროს თავშეკავებულ ადამიანს. კოლონინს დიდი მეგობრობა აკავშირებდა ლესელიძესთან და ბრეჟნევთან.

არმიის სული და გული, პირადი შემადგენლობის თანამებრძოლი და მეგობარი იყო პოლიტგანყოფილების უფროსი ლეონიდ ბრეჟნევი. იგი ყოველთვის იპყრობდა ჯარისკაცებისა და ოფიცრების ყურადღებას, პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა მეომრებს გმირობისათვის, მუდამ დიდი ინტერესით ეკიდებოდა პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას. არმიის სარდალი ამაში სამართლიანად ხედავდა საომარი მოქმედების წარმატების საწინდარს, ხოლო სამხედრო საბჭოს პირველი წევრი კოლონინი ლეონიდ ბრეჟნევს „პარტიული მუშაობის დილოსტატს“ უწოდებდა.

ლესელიძეც მოხიბლული იყო ბრეჟნევით, იცოდა, რომ ეს წარმოსადეგი ოფიცერი-პოლიტმუშაკი ყოფილი ინჟინერ-მეტალურგია და ომის დაწყებისას პარტიის დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის მდივანი იყო. ბრეჟნევს ლესელიძე პირველად 1943 წლის იანვარში შეხვდა, როცა ლესელიძე 46-ე არმიიდან გადაიყვანეს 47-ე არმიაში, რომელიც შედიოდა ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების შავი ზღვის ჯგუფში და ლესელიძის სარდლობით ახორციელებდა შეტევით ოპერაციებს ნოვოროსიისკის მისადგომებთან. მაშინ ბრეჟნევი ჯარების შავი ზღვის ჯგუფის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილე იყო.

„მცირე მიწის“ დაცვის პერიოდში არ ყოფილა ისეთი მომენტი, რომ იქ არ ყოფილიყო არმიის პოლიტგანყოფილების მუშაკთა ჯგუფი. როგორც წესი, პოლიტგანყოფილების ყოველ ჯგუფს სათავეში ედგა პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე ან ინსპექტორი. თვით ბრეჟნევი კი ყოველ ათ დღეში ორი-სამი დღით „მცირე მიწაზე“ ჩადიოდა, ყველაფერს საკუთარი თვალით ათვალიერებდა და უშუალოდ სინჯავდა, თუ სად რა ხდებოდა, საგულდაგულოდ სწავლობდა პლაცდარმზე პარტიული მუშაობის თავისებურებებს, ესაუბრებოდა მებრძოლებს, ინსტრუქტაჟს უწევდა პოლიტმუშაკებს, პარტორგებს, კომკავშირის ორგანიზატორებს. პოლიტგანყოფილების უფროსის პირადი მაგალითი ჯარისკაცებზე ყოველგვარ დირექტივაზე უფრო მოქმედებდა.

ლესელიძემ კარგად იცოდა, რომ შტაბის უფროსთან და ბრეჟნევთან ერთად მის მიერ დამუშავებული კომბინირებული დარტყმის ორიგინალური და გაბედული ოპერაციის წარმატებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მოულოდნელობას არა მარტო დარტყმის მომენტის, არამედ დარტყმის ობიექტების შერჩევის მიხედვითაც. ამიტომ იყო, რომ გეგმა ითვალისწინებდა შტურმის ისეთ მიმართულებას და ობიექტებს, სადაც მოწინააღმდეგე ყველაზე ნაკლებად ელოდა ჩვენს აქტიურ მოქმედებას.

მე-18 სადესანტო არმიაში ოპერატიული განყოფილების უფროსად ვლადიმერ ზარელუას დანიშვნის წინ, მასთან და არმიის სხვა ხელმძღვანელ მუშაკთან საუბარი ჰქონდათ უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში.

— როგორ გესმით თქვენ ნოვოროსიისკის მნიშვნელობა? — მიმართა ზარელუას სტალინმა.

— ეს, უპირველეს ყოვლისა, ნავსადგური და ცემენტია!

— არა, საქმე გაცილებით სერიოზულია. გერმანელები ნოვოროსიისკიდან წინ რომ დაიძრნენ, ნიშნავს დავკარგოთ ბაქოს ნავთი და კარი გავუღოთ მტერს კავკასიაში შესაშვებად.

სტალინი ოდნავ ჩაფიქრდა და ისევ დასძინა:

— ნოვოროსიისკი წყვეტს არა მარტო ამიერკავკასიისა და მთელი კავკასიის ბედს, არამედ ახლო აღმოსავლეთისა და არმიის ბედსაც!..

1943 წლის 9 სექტემბრის ღამე დაძაბულ მოლოდინში გადიოდა. ლესელიძე საკომანდო-სათვალთვალო პუნქტზე იმყოფებოდა. 10 სექტემბერს, ორ საათსა და ორმოცდახუთ წუთზე სათვალთვალო პუნქტიდან ყველა ტელეფონით გადაიცა ბრძანება. ხუთი წუთის შემდეგ დადგა ჟამი, რომელსაც ასე მოუთმენლად ელოდნენ არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები, მედესანტე მეზღვაურები — დაიწყო არტილერიის კანონადა. ჩვენმა რვაასმა ქვემეხმა 15 წუთის განმავლობაში 35 ათასი ჭურვი დააყარა მტრის მოგერიებით კვანძებს. ამავე დროს ბომბდამშენებმა და მოიერიშე ავიაციამ ჰაერიდან ძლიერი დარტყმა აგემეს მტერს.

ცეცხლის საფარით ცემესის უბეში შეიჭრნენ გემები, რომლებსაც მედესანტეები მოჰყავდათ. გემბანებზე იყვნენ 393-ე ბატალიონის მებრძოლები — კუნიკოვის რაზმის ვეტერანები. ახლა მათ სარდლობდა დაღუპული ბატალიონის მეთაურის მებრძოლი-თანამესანგრე კაპიტანი ბოტილევი — დიდი გამბედაობის მქონე და უშიშარი ადამიანი. თავდასხმა იმდენად გამანადგურებელი იყო, რომ გაოგნებულმა მტერმა ვერ შეძლო ზღვიდან შემოჭრილი დესანტებისათვის ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა. საზღვაო ქვეითი რაზმები მტრის ზურგში გადასხდნენ და მყისვე შეუტიეს მოწინააღმდეგის პოზიციებს. ზურგიდან იერიშმა აიძულა გერმანელები გამოეწვიათ ჯარის ნაწილი მეზღვაურებთან საბრძოლველად. ხმელეთიდან წინააღმდეგობა შესუსტდა. ამით ისარგებლეს საბჭოთა ჯარებმა და შეტევაზე გადავიდნენ.

მამაც საბჭოთა მეომრებს სისხლისმღვრელი შეტაკება ჰქონდათ ჯერ ნავსადგურისა და ქალაქის განაპირას, ხოლო შემდეგ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში. ცხარე ბრძოლა გაჩაღდა ელექტროსადგურის რაიონში.

მტერი ბრძოლაში აბამდა ყველა თავის რეზერვს, ტანკების, თვითმავალი ქვემეხებისა და ბომბდამშენების საფარქვეშ გაცოფებული გადმოდიოდა კონტრიერიშებზე.

ჩვენი მოიერიშე რაზმები სრული გარღვევისათვის საჭიროებდნენ დამხმარე ძალებს. საბჭოთა სარდლობამ ამ უბანზე გადმოისროლა ომის საბრძოლო სკოლა-გავლილი გენერალ-მაიორ ვ. არშინცევის ციმბირის გვარდიული დივიზია და პოლკოვნიკ პ. შურენკოვის მე-5 გვარდიული სატანკო ბრიგადა. ლესელიძე გულდასმით ადევნებდა თვალყურს ამ დივიზიის მოქმედებას და გამამხნევებელი სიტყვებით გამარჯვებისაკენ მოუწოდებდა.

ერთხანს შეფერხება იგრძნობოდა იმ უბანზე, სადაც 184-ე მსროლელი დივიზია იბრძოდა. მტერი ვერ შეურიგდა ნოვოროსიისკის პლაცდარმის დაკარგვას. იგი ჩვენს ნაწილებს განსაკუთრებული გაცოფებით ებრძოდა. სწორედ ამ დროს განსაცდელში მყოფი დივიზიისაკენ გაეშურა ლესელიძე. არმიის სარდლის დანახვით აღფრთოვანებულმა დივიზიის მეთაურმა მეომრებს გადასძახა: „არც ერთი ნაბიჯი უკან! არმიის სარდალი ჩვენთან არის: ან გამარჯვება, ან სიკვდილი! წინ, სამშობლოსათვის!“

საყვარელი სარდალი გვერდით რომ დაიგულეს, მებრძოლებს თითქოს ახალი სული ჩაედგათ, ისინი სიცოცხლის დაუზოგავად უტევდნენ ოკუპანტებს. ლესელიძის ჩვეულმა გულადობამ ამჯერადაც გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. მან დამხმარე ძალაც — ტანკები და თვითმავალი ქვემეხები დროზე მიაშველა განსაცდელში მყოფ დივიზიას. გაafთრებული ბრძოლები იმართებოდა თითოეული ქუჩისათვის, თითოეული სახლისათვის, სართულისათვის.

14 სექტემბერს შეტევაზე გადავიდა 56-ე არმია გენერალ-ლეიტენანტ ანდრეი გრეჩკოს სარდლობით, რომელიც მხარს უჭერდა ლესელიძის არმიას მარჯვენა ფრთაზე.

მტრის შემდგომ ცდას, შეენარჩუნებინა დაკავებული პოზიციები, უკვე აღარ შეეძლო შეეკავებინა საბჭოთა ლეგიონებისა და დივიზიების საზღვაო ქვეითი ჯარის შეტევა. მოწინააღმდეგის დაცვის სისტემა ნოვოროსიისკის რაიონში საკმაოდ მოშლილი აღმოჩნდა.

16 სექტემბერს დილის 10 საათისათვის შავი ზღვის სტრატეგიული კვანძი — ქალაქი ნოვოროსიისკი და ნოვოროსიისკის ნავსადგური მთლიანად გაწმენდილი იყო ფაშისტი ოკუპანტებისაგან. ამრიგად, დამთავრდა 365-დღიანი ბრძოლა ნოვოროსიისკის აღმოსავლეთ სანაპიროზე და 255 დღისა და ღამის ბრძოლა „მცირე მიწაზე“. „მცირე მიწის“ ჯარები შეუერთდნენ არმიის ძირითად ძალებს.

ღირსსახსოვარ დღეს — 1943 წლის 16 სექტემბერს მოსკოვმა სამშობლოს სახელით სალუტი მისცა ნოვოროსიისკის გამათავისუფლებელ მამაც ჯარებს. საძმო სასაფლაოზე დაკრძალეს ბრძოლის ველზე გმირულად დაცემულნი და ახლა მათ საფლავზე კურანტები ყოველ საათს ასრულებენ შოსტაკოვიჩის დიდებულ მელოდიას.

**მიხეილ დავითაშვილი**

# ცეცხლოვანი ეპიზოდები

ფაშისტური გერმანიის ვერაგული თავდასხმის დროისათვის 2 000-მდე ქართველი მეომარი ირიცხებოდა ბრესტის ციხესიმაგრის გარნიზონში. ერთ-ერთი მათგანია მე-6 დივიზიის 333-ე პოლკის პირველი ასეულის ჯარისკაცი მიხეილ მუმლაძე. ომის დაწყების დროს ასეული ციხესიმაგრის დასავლეთით 600-700 მეტრზე იყო განლაგებული. მებრძოლთა მცირე ჯგუფმა მ. მუმლაძის მეთაურობით ხელჩართული ბრძოლით გაიკაფა გზა და დიდი მსხვერპლის ფასად შეაღწია ციხესიმაგრეში. დიდხანს განაგრძობდნენ ბრძოლას ციხესიმაგრის სარდაფებში გამაგრებული მამაცი მეომრები, მაგრამ ალყა თანდათან ვიწროვდებოდა. 1941 წლის 14 ივლისს 28 მებრძოლმა, მათ შორის მ. მუმლაძემ, ალყა გაარღვია და შეუერთდა კაპიტან ტ. სოვლინოვის პარტიზანულ რაზმს. ომის შემდეგ გამოვლინებული იქნა ბრესტის დაცვის 300-ზე მეტი ცოცხალი მონაწილე. მიხეილ მუმლაძე კი იმ მცირეოდენთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც არა მარტო იცავდნენ ლეგენდარულ ციხესიმაგრეს, არამედ მის განთავისუფლებაშიც მონაწილეობდნენ: 1944 წლის 28 ივლისს მ. მუმლაძემ უშუალო მონაწილეობა მიიღო ბრესტის ციხესიმაგრის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

• • •

ოდესის დაცვის მძიმე დღეებში 69-ე გამანადგურებელმა საავიაციო პოლკმა ყირიმიდან მიიღო შევსება. ეს იყო კაპიტან ფ. დემჩენკოს ესკადრილია, რომლის რიგებშიც იმყოფებოდა ჩვენი თანამემამულე ი. ბეროშვილი. 1941 წლის 29 აგვისტოს ოდესასთან, სადგურ ვიგოდას რაიონში პირველსავე საჰაერო ბრძოლაში მფრინავმა-გამანადგურებელმა ი. ბეროშვილმა უკვდავი გმირობა ჩაიდინა: გაცხარებულ საჰაერო ბრძოლაში მან შენიშნა, რომ საფრთხე ემუქრებოდა კაპიტან ფ. დემჩენკოს. დაყოვნების დრო აღარ იყო. ქართველმა ვაჟკაცმა სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება — გატარნა ფაშისტი საჰაერო პირატი და თავისი მეთაური სიკვდილს გადაარჩინა. ამით ი. ბეროშვილმა ბრწყინვალედ შეასრულა საბჭოთა მეომრის დაუწერელი კანონი.

• • •

ომის პირველ ეტაპზე გერმანიის პრესა და რადიო გაჰყვიროდნენ, რომ წითელი არმია განადგურებულია, აღარ არსებობს საბჭოთა საჰაერო ფლოტი. ასეთ ვითარებაში მსოფლიოს ყველა პროგრესული ადამიანი აღაფრთოვანა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობამ, რომ 1941 წლის 8 აგვისტოს საბჭოთა ავიაცია თავს დაესხა გერმანიის დედაქალაქ ბერლინს. ეს ის დრო იყო, როდესაც ფაშისტური ურდოები მოისწრაფოდნენ მოსკოვისა და ლენინგრადისაკენ, მათი ავიაცია ბომბავდა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქს.

ბერლინზე ღამის საჰაერო თავდასხმა განახორციელა წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის შორი ბომბდამშენი ავიაციის სპეციალურმა შენაერთმა პოლკოვნიკ ე. ნ. პრეობრაჟენსკის ხელმძღვანელობით. შენაერთს ბაზა ჰქონდა კუნძულ სარემაზე (ეზელი). ბერლინზე ამ პირველ თავდასხმებში მონაწილეობდნენ ქართველი მფრინავებიც: პოლკის ფლაგშტურმანი გრიგოლ ჩიტაიშვილი და შემდგომში საბჭოთა კავშირის გმირი კარლო მებაღიშვილი.

• • •

1942 წელს, ლენინგრადის ბლოკადის მძიმე დღეებში, ბავშვებით დატვირთულმა სამგზავრო თვითმფრინავებმა „დიდი მიწისაკენ" აიღეს გეზი. მათ ავიაგამანადგურებლები იცავდნენ. გზაზე ჩვენს თვითმფრინავებს „მესერშმიტების" დიდი ჯგუფი დაეცა თავს. გაჩაღდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. აი, ერთმა გერმანელმა მფრინავმა დიდი სიმაღლე აიღო, შემდეგ კი საბჭოთა სამგზავრო თვითმფრინავისაკენ დაეშვა. ბავშვებით სავსე საჰაერო ხომალდს საბჭოთა ავიაგამანადგურებელი აეფარა და ტყვიების ჯერი თვითონ მიიღო. მამაცი მფრინავი დაიღუპა, მაგრამ ბავშვები გადარჩნენ. ლენინგრადელ ბავშვთა სიცოცხლე იხსნა ქართველმა მფრინავმა სერგო მეგრელიშვილმა.

• • •

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში 263 საბჭოთა მეომარმა თავისი მკერდით დაფარა მტრის საცეცხლე წერტის ამბრაზურა. მათ შორისაა ქართველი გოგონა ალექსანდრა (საშა) ნაზაძე. პოლიტხელმა ნაზაძემ ფრონტზე ბრძოლაში ისახელა თავი. იგი ყოველთვის მოწინავე რიგებში იმყოფებოდა და პირადი მამაცობით აღაფრთოვანებდა თავის მებრძოლებს. ერთხელ კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა. საბჭოთა მებრძოლებს გზა გადაუღობა მტრის ტყვიამფრქვევმა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, მტერი ანადგურებდა საბჭოთა მებრძოლებს. საბრძოლო დავალების შესრულებას საფრთხე ემუქრებოდა. მაშინ ალექსანდრა ნაზაძე მკერდით აეფარა გერმანელთა ტყვიამფრქვევს...

ეს მოხდა ქ. როსტოვისათვის ბრძოლაში და ის ქუჩა, სადაც პოლიტხელმა ქართველმა გოგონამ უკვდავი გმირობა ჩაიდინა, დღეს ა. ნაზაძის სახელს ატარებს.

• • •

სტალინგრადის გმირულ ეპოპეაში ოქროს ასოებით ჩაიწერა „პავლოვის სახლის" მცირერიცხოვანი გარნიზონის გმირობა. გარნიზონი, რომელიც გენერალ ა. ი. როდიმცევის მე-13 გვარდიული დივიზიის 24 მეომრისაგან შედგებოდა და რომელსაც სერჟანტი ი. პავლოვი მეთაურობდა, 59 დღე-ღამის განმავლობაში უმკლავდებოდა მტრის ურდოებს. ამ პატარა კოლექტივში მხარდამხარ იბრძოდნენ რუსები და უკრაინელები, უზბეკი და აზერბაიჯანელი, ყაზახი და ტაჯიკი, თათარი და სხვა ეროვნების წარმომადგენლები, მათ შორის იყო ქართველი ნიკოლოზ მოსიაშვილი. ჰიტლერელებმა მცირერიცხოვანი საბჭოთა მეომრების წინააღმდეგ გამოიყენეს ნაღმსატყორცნები, არტილერია, ტანკები, ქვეითი ათასეულების იერიშები, მაგრამ დაკავებული პოზიციებიდან მათი გამოდევნა ვერ შესძლეს. საკმარისია აღინიშნოს, რომ ფაშისტურმა არმიამ პავლოვის გარნიზონის წინააღმდეგ ბრძოლაში უფრო მეტი მეომარი დაკარგა, ვიდრე 1940 წლის ივნისში პარიზისათვის მთელ ბრძოლაში. ამ პატარა გარნიზონის მამაცურ საქმეებში თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა ნ. მოსიაშვილმა, რომელიც გმირულად ებრძოდა მტერს.

• • •

1943 წლის 23 თებერვალს კალაპატკასთან 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის 1375-ე ლეგიონის ტანკსაწინააღმდეგო ასეულმა გმირობისა და სიმამაცის იშვიათი ნიმუში გვიჩვენა. ასეულმა გერმანელთა დიდი სატანკო შენაერთის შეტევა მოიგერია, მაგრამ თვითონაც თითქმის განადგურდა. ბოლოს ასეულიდან ოთხი მძიმედ დაჭრილი მეომარილა დარჩა: თბილისელი ლეონტი ჰანტურიძე, აბაშელი ოთარ კაჭარავა, ჩაქვაძე და გიუნაშვილი. როდესაც ტყვია-წამალი შემოელიათ, ოთხივე ხელყუმბარებით მუხლებზე შეეცვივდნენ გერმანელთა ტანკებს და მათთან ერთად აფეთქდნენ.

• • •

დნეპრისათვის გაჩაღებულ დიდ ბრძოლაში თავი ისახელა ვ. გვანცელაძემ. მანამდე იგი წყალტუბოს რაიონის სოფელ უკანეთის კოლმეურნეობის ბრიგადირი იყო, 1942 წელს კი სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა და მესანგრის რთულსა და საპატიო საქმეს დაეუფლა. მდინარის ნაპირზე ნაპუნტონებით გმირმა მესანგრემ მტრის გრიგალისებური ცეცხლის ქვეშ 113 რეისი გააკეთა და დნეპრის მარჯვენა ნაპირზე გადაიყვანა 935 კაცი, გადაიტანა 36 ტონა საბრძოლო ტვირთი, 12 ტონა სურსათი. დნეპრის გადალახვისას სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის ვლადიმერ გვანცელაძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ირაკლი გვეტაძე





1941 წლის 22 ივნისი.

1945 წლის 9 მაისი.

# ყველაფერი ფრონტისათვის!

ამ ორ თარიღს შორის 1 418 დღეა. დიდი სამამულო ომის მრისხანე ბრძოლებისა და ზურგში თავდადებული შრომის დაუვიწყარი 1 418 დღე!

სამამულო ომი იყო ჩვენი ხალხის, ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილების უმკაცრესი გამოცდა. ამ გამოცდამ ნათლად დაადასტურა სოციალისტური სისტემის სრული უპირატესობა, მისი სიცოცხლისუნარიანობა, ხალხისა და პარტიის მონოლითური ერთიანობა.

სწორედ კომუნისტური პარტია იყო ის შემაკავშირებელი, დამმრაზმავი და მაორგანიზებელი ძალა, რომელმაც საბჭოთა ხალხი მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე მიიყვანა.

პარტიის ირგვლივ დარაზმულმა საბჭოთა ხალხმა ომის წლებში მთელი სიგრძე-სიგანით გაშალა თავისი ბუმბერაზი მხრები, უმოკლეს ხანში გარდაქმნა ქვეყნის ეკონომიკა, სწრაფად მოაწყო ყველა იმ საშუალებათა მასობრივი წარმოება, რაც აუცილებელი იყო წითელი არმიისათვის გერმანელ-ფაშისტთა ჯარების დასამარცხებლად.

ზურგში დარჩენილი ადამიანები, საბჭოთა ჯარების შეუფერხებელი მომარაგებისათვის დღესა და ღამეს ასწორებდნენ. ჩვენი ქვეყნის ქარხნების კონვეიერებიდან უწყვეტ ნაკადად ჩამოდიოდა ახალი ტანკები, ქვემეხები, თვითმფრინავები, სხვადასხვა სახეობის საბრძოლო ტექნიკა, საომარი მასალები.

გმირულად შრომობდნენ სოფლის მეურნეობის მშრომელებიც. საკმარისია ითქვას, რომ კოლმეურნეობების საერთო სათესი ფართობები არაოკუპირებულ რაიონებში 1940 წლის 63,4 მილიონი ჰექტარიდან 1942 წელს 67 მილიონ ჰექტარამდე გაიზარდა, 1943 წელს კი 92 მილიონ ჰექტარს მიაღწია.

ამ საერთო, სამკვდრო-სასიცოცხლო საქმეში თავისი დიდი, ღირსეული წვლილი შეჰქონდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასაც.

„ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის!" —აი, ამ ლოზუნგით შრომობდნენ და სულდგმულობდნენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები.

საქართველო შეუფერხებლად აწვდიდა ფრონტს თვითმფრინავებს, ავტომატურ იარაღს, ნაღმსატყორცნებს, სახელგანთქმული „კატიუშების" ძირითად ნაწილებს, ასიათასობით ჭურვებს, ბომბებს, ნაღმებს, ხელყუმბარებს, ტყვია-წამალს, ტანსაცმელს, სურსათს...

დიდი სამამულო ომის წლებში საქართველომ საბჭოთა კავშირის მრეწველობას შეიარაღებული ძალების მომარაგებისათვის მიაწოდა 3 მილიონ ტონაზე მეტი ქვანახშირი, 250 ათას ტონაზე მეტი ნავთობი, 3 მილიონ ტონაზე მეტი მანგანუმის მადანი, უამრავი ფეროშენადნობები, ხე-ტყე, ცემენტი...

ომის დაწყებიდან ორ-ნახევარი წლის მანძილზე სამშობლოს დამცველებმა საქართველოდან მიიღეს 1.143.000 მაზარა, 1.419.000 გიმნასტურა, 1.199.500 შარვალი, 5.512.800 წყვილი ფეხსაცმელი და სხვ.

ზურგი მტკიცედ იდგა, იგი ათასობით ძარღვით იყო დაკავშირებული ფრონტთან. სამამულო ომი უზარმაზარ თანხებს ნთქავდა. საბჭოთა ადამიანებმა გადაწყვიტეს, თავიანთი წვლილი შეეტანათ ამ საქმეშიც.

სახელმწიფოსათვის დახმარების მიზნით, რესპუბლიკაში დაიწყო ნებაყოფლობითი თანხების შეგროვება საავიაციო ესკადრილიის „საბჭოთა საქართველოს" და სატანკო კოლონის „საქართველოს კოლმეურნის" მშენებლობისათვის.

მშრომელებს თავდაცვის ფონდში შეჰქონდათ თავიანთი დანაზოგი, ორგანიზებულად აწერდნენ ხელს სახელმწიფო სესხის ობლიგაციებზე. მარტო 1942 წელს საქართველოში გავრცელდა 2 797 მილიონი მანეთის ობლიგაცია, 1943 წელს — 452,3 მილიონი მანეთის სესხი, 1944 წელს ერთ დღეში მშრომელებმა ხელი მოაწერეს 603,2 მილიონი მანეთის სესხზე.

ომის პერიოდში რესპუბლიკის მოსახლეობამ სახელმწიფოს თავდაცვის ფონდში შეიტანა მარტო ნაღდი ფულით 420.313.900 მანეთი.

ძლევამოსილად დამთავრდა დიდი სამამულო ომი. დღეს, როცა ჩვენი ხალხი მადლიერებით იხსენებს იმ დღეთა ცეცხლოვანი ბრძოლების გმირებს, ღირსეულ პატივს მიაგებს იმათაც, ვინც ზურგში თავიანთი ვაჟკაცური შრომით გამარჯვებას ჭედდნენ.

ირაკლი ბარამიძე

ასე თავდადებით შრომობდნენ ზურგში.





# ვალმოხდილი



1936 წლის ივლისის პირველ რიცხვებში აფხაზეთის ცაკ-ის თავმჯდომარემ ნესტორ ლაკობამ ბატაისკის ავიასკოლის კურსანტის მერი ავიძბას ბარათი მიიღო:

„...მთელ ჩემს ძალებს ვახმარ საფრენოსნო საქმის ტექნიკის ათვისებას. მინდა პირნათლად შევასრულო თქვენთვის მოცემული სიტყვა. გჯეროდეთ, ეს იქნება ლენინური კომკავშირის წევრის მტკიცე და ურყევი სიტყვა. მერი ავიძბა".

პირველმა აფხაზმა მფრინავმა ქალმა მერი ავიძბამ პირნათლად შეასრულა თავისი სიტყვა. წარჩინებით დაამთავრა ბატაისკის ავიასკოლა, მშობლიურ აფხაზეთში დაბრუნდა და მფრინავ-ინსტრუქტორად დაიწყო მუშაობა.

დიდმა სამამულო ომმა მერი ავიძბას ლენინგრადის კიროვის სახელობის სამხედრო აკადემიაში მოუსწრო. პატრიოტი ქალიშვილი მაშინვე მოხალისედ გაეშურა ფრონტზე. სულ მალე იგი საბჭოთა კავშირის გმირის მარინა რასკოვას განკარგულებაში გადაჰყავთ და გვარდიის ტამანსკის ქალთა საავიაციო პოლკში რიცხავენ.

პოლკი, რომელიც ღამის გაფრენებს აწარმოებდა, სასწაულებს ახდენდა ფრონტზე. მზიური აფხაზეთის შვილი მერი ავიძბა ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომლის მკერდზე სამამულო ომის ორი ორდენი აციაფდა.

მერი გასაოცარი გაბედულებით მართავდა თვითმფრინავს, დღითი დღე ხვეწავდა შტურმანის ოსტატობას, რისხვად ატყდებოდა თავზე ჩვენი სამშობლოს დაბარბაჯად წამოსულ მტერს. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მერი ავიძბას პირად ანგარიშზე მოდის 477 საბრძოლო გაფრენა.

მერი ავიძბა (მარცხნიდან პირველი) თავის თანამებრძოლებთან.



ერთხელ, საბრძოლო დავალების შესრულებისას, თვითმფრინავი დაზიანდა და მერი იძულებული გახდა მოუხერხებელ ადგილზე დაშვებულიყო. მფრინავმა სერიოზული ტრავმა მიიღო: ხერხემალი დაუზიანდა. საშინელი ტკივილების მიუხედავად, მერი მაინც პოლკში დარჩა და ჩვეული სიმამაცით ავლებდა მუსრს ფაშისტებს.

მხოლოდ დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ შეაღო მერიმ ჰოსპიტლის კარი. სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ქალი სარეცელს მიეჯაჭვა. შვიდი წელი იწვა ლოგინში მერი ავიძბა, მაგრამ ხალისი, სიცოცხლის სიყვარული და რწმენა არასოდეს დაუკარგავს.

რკინის მოუხემავ კორსეტში ჩასმული შტურმანი კვლავ ჩაება შემოქმედებითი ცხოვრების ფერხულში. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმის მუდმივმოქმედი კომისიის წევრი, აფხაზეთის კომკავშირის საოლქო კომიტეტთან არსებული საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებზე ახალგაზრდობის ლაშქრობათა შტაბის თავმჯდომარე მერი ავიძბა ამას წინათ ნესტორ ლაკობას სახელობის სოხუმის საშუალო სკოლის მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს. შვილი არ ჰყავს მერის, მაგრამ ეს წკრიალა გოგონები და თმახუჭუჭა ბიჭუნები განა მისი მზიური სამშობლოს შვილები არ არიან?! ჰოდა, დედობრივ ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებს მათ მერი ავიძბა.

სამუშაო მაგიდის უჯრაში უამრავ წერილს ინახავს მერი. აი, ავიაციის მარშლის ვერშინინის ბარათი. ეს გულთბილი სტრიქონები საბჭოთა კავშირის სამგზის გმირმა ივანე კოჟედუბმა გამოუგზავნა. მერი ავიძბას სახელზე მოსულ ბარათებს ხელს აწერენ საბჭოთა კავშირის გმირი ლიაპიდევსკი და ოლგა ჩკალოვა, ვალენტინა ტერეშკოვა და დონბასელი მეშახტეები...

ყველა ბარათის ავტორი შემდგომ წარმატებებს უსურვებს აფხაზეთის სახელოვან შვილს მერი ავიძბას, რომელიც მთელ თავის ნიჭს, ძალასა და ენერგიას სამშობლოს უანგარო სამსახურს ახმარს.

ეთერ ჩილაჩავა

# ომის გზაზე

მოთხრობა

ქართველი ბიბლიოთეკა

## ვანო ურჯუმელაშვილი

ხელფეხგაფიჩხული ძლივს შევძვერი მიწურში. თავი აირწინაღზე მივდე და ფარაჯა წავიფარე.

— კიდევ ტრიალებს ნამქერი? — შემეკითხა ჯარისკაცი მასლოვი.

— ცოტა შენელდა.

ხვრელზე ჩამოფარებულ ლაბადა-კარვის ჭუჭრუტანებიდან შემოჭრილმა მოელვარე შუქმა მიწური გაანათა, მაგრამ მაშინვე ისევ ჩამობნელდა.

მოწინავეზე ტყვიამფრქვევები აკაკანდნენ.

ერთხანს ორივე ვდუმდით. გახშირებულ სროლას ვუგდებდით ყურს, მერე კი მასლოვი ჩემსკენ გადმობრუნდა, პაპიროსს მოუკიდა და წაილაპარაკა:

— ჰო, მართლა, გუშინ ნატაშამ გიკითხა.

— სად ნახე? — მინდოდა დამშვიდებით მეთქვა, მაგრამ მღელვარება ვერ დავფარე.

— გზაზე შემომხვდა. ნატაშასა და მის ამხანაგებს მოწინავეზე წასვლა მოუთხოვიათ.

— მოწინავეზე? როდის მივდივართო, რა გითხრა?

— მეტი არაფერი უთქვამს. მოკითხვა დამაბარა და გაიქცა.

რა მეთქვა, აღარ ვიცოდი. ნატაშას ბედი მაფიქრებდა.

ფარაჯა თავზე წავიფარე, მაგრამ ძილი გამიტყდა.

რაღა არ გავიხსენე, რაღას არ მისწვდა ჩემი გონება?

ნატაშა ომამდე ერთ საზეიმო საღამოზე გავიცანი. იგი მაშინ ჩვენს სანბატში მუშაობდა მედდად. მალიმალ თავს ვიავადმყოფებდი და სანბატის ხშირი სტუმარი ვიყავი, რომ ნატაშას შევხვედროდი. ერთხელ პაემანიც დავუნიშნე. მეშინოდა, ვაითუ არ მოვიდეს-მეთქი, მაგრამ არ დამაღალატა. ეჰ, ის კი მოვიდა, მაგრამ ჩემი სათქმელი გულში ჩამრჩა და იმდენი გამბედაობა არ მეყო, რომ ის ერთი სიტყვა მეთქვა, რომელსაც მისი გაცნობის პირველივე დღიდან გულში ვატარებდი.

მასლოვი ჩემთან ხშირად იქადნიდა, ვინ მოთვლის რამდენ გოგოსათვის ამიხსნია სიყვარულიო. რა ვიცი, იქნებ მართალსაც ამბობდა. მაგრამ მიკვირდა ამას როგორ ახერხებდა.

მე კი, არ ვიცი, რა მემართებოდა, რა ღმერთი მიწყრებოდა. ნატაშას დანახვაზე ბრინჯივით ვიბნეოდი.

ნატაშას კი ჩემს დაბნეულობაზე ეღიმებოდა, მისი გაცისკროვნებული თვალები თითქოს ამბობდნენ, რას დადუმებულხარ, თუ მოგწონვარ, თუ გიყვარვარ, აგერ აქ არა ვარ, მითხარი, გამაგებინე, მე ეს არ მეწყინებაო.

ნელ-ნელა ტკბილ ბურანში წავედი.

უცებ ზემდეგ ხოხლოვის ყვირილი შემომესმა. მე მიხმობდა. რას იზამ, უფროსია. ერთს დაგიძახებს და მაშინვე ფეხზე უნდა დადგე, თორემ მტრისას!

მიწურიდან რომ ამოვედი, ხოხლოვი ვეღარ ვიცანი. გრძელი შავი, თბილსაყელოიანი ქურთუკი ეცვა. კრავლის მაღალ ფაფახსაც მის თავზე პირველად ვხედავდი! აქამდე არც ქურთუკს იცვამდა, არც ფაფახს იხურავდა, თურმე ბედნიერი დღისთვის ინახავდა.

ეს ბედნიერი დღე კი დადგა მაშინ, როცა ჩვენი ჯარები მოსკოვთან იერიშზე გადავიდნენ, მტერს კუდით ქვა ასროლინეს.

თავისი კალთაგამომწვარი, ჭვარტლით გამურული ქურთუკი და ხელოვნური კრაველის ფაფახი ხოხლოვმა მე მომცა, შენც გამოეწყე, კახაბერო, ჩვენს ქუჩაზეც დაიწყო დღესასწაულიო.

დავსხედით მანჯიკზე და გავწიეთ. მე და ხოხლოვი მოწინავე პოზიციაზე უნდა მივსულიყავით და ჯარისკაცებისთვის საჭმელი მიგვეტანა. თან ვღელავდი, რომ სადღაც იქ, ცეცხლის ნიაღვარში ნატაშას შევხვდებოდი.

გზაზე მანქანების, საბარგულების, მარხილების, სამზარეულოების ტევა არ იყო.

ჯარისკაცები მაღალი ჩინის ოფიცრები ვეგონეთ და ყველა გზას გვითმობდა, წინ გვიშვებდნენ, მაგრამ შორს წასვლა არ შეგვეძლო, რადგან სამზარეულოსა და საჭმელით დატვირთულ საბარგულში შებმული ცხენები ვერ მოგვდევდნენ. ამიტომ მალიმალ გზიდან გადავდიოდით და ჩვენიანებს ველოდებოდით.

ჯარისკაცებს კი ეგონათ, კოლონის სვლას ვათვალიერებდით. ისინი ფაციფუცით ისწორებდნენ საჭურველს, წესრიგში მოჰყავდათ საბარგულები და ცდილობდნენ ჩვენს წინ წესიერად გაევლოთ. ზემდეგმა მითხრა, ეს ამბავი არ მომწონს, მოდი და ფაფახები გავცვალოთ, შენ მეეტლე ხარ, ოფიცერი მაინც არავის ეგონებიო.

ფაფახები რომ შევცვალეთ, ჯარისკაცები ახლა მე უფრო მიმზერდნენ, ვიდრე ჩემს უკან მჯდომ ზემდეგს. თითქოს ერთმანეთს იმასაც ეჩურჩულებოდნენ, ეს რა კეთილშობილი უფროსია, ძილმორეულ მეეტლეს ასვენებს, თვითონ კი კოფოზე სადავეებს მისჯდომიაო.

ერთგან გზა დანამქრულიყო. მანქანები ბღუოდნენ. იყო ერთი ჩოჩქოლი, ყვირილი, აურზაური.

უკან მიმავალი აღალის მეეტლეები და გამყოლი ჯარისკაცები გზაზე დარბოდნენ, მხრებზე ხელებს იტყაპუნებდნენ.

დაინახეს თუ არა ჩვენი მანჯიკი, ჯარისკაცებმა უფრო ხმამაღლა შეუტიეს ცხენებს, აყვირდნენ, ერთი, ორი, ავწიეთო, მაგრამ საბრგულებს ძვრაც ვერ უყვეს.

მეომრები იმედითა და სასოებით შემოგვცქეროდნენ, ეგონათ საზრიან რჩევა-დარიგებას მივცემდით.

სწორედ ამან გამაბედვინა, რომ ფეხზე წამოვმდგარიყავი და უქმად გაჩერებულ ჯარისკაცებისათვის მიმემართა:

— თქვენ, ეი, ბიჭებო, რა ყურები ჩამოგიყრიათ. ნიჩბები აიღეთ და ჩემთან სირბილით! — ისეთი რიხით შევძახე, განსაკუთრებით ბოლო სიტყვა, მე თვითონ მომეწონა ჩემი ხმის სითამამე.

ასამდე მეომარმა მოიყარა თავი. ქვეითებს პატარა ნიჩბები, ხოლო მესაზიდრეებს, მძღოლებს გრძელტარიანი ბარები მოემარჯვათ.

ზედმეტი ლაპარაკით ვინმე რომ არ მომებეზრებია, მებრძოლებს მივმართე, ამხანაგებო, ზურგის ნაწილებმა დროულად უნდა მოამარაგონ საბრძოლო მასალებითა და სურსათ-სანოვაგით შეტევაზე გადასული ქვეგანაყოფები, ამიტომ გულმკერდზე ხელების დაკრეფის დრო არაა, ყოველი წუთი ძვირფასია, სწრაფად უნდა გავწმინდოთ გზა! აბა, დასცხეთ, დაჰკარით-მეთქი და მეც მანჯიკიდან გადმოვხტი. საბარგულისაკენ გაჯგიმული წაველი, ნიჩაბი ავიღე და ჯარისკაცებთან ერთად შევუდექი გზიდან თოვლის გადაყრას.

ეჰ, თურმე დიდი ძალა ჰქონია მეთაურის პირად მაგალითს: ჯარისკაცები ცეცხლივით ტრიალებდნენ, თოვლს ბური გაადინეს. ერთმანეთს მოუწოდებდნენ, ყოჩაღად, ბიჭებო, ყოჩაღადო.

ის კი არა, ზემდეგმაც იკადრა მანჯიკიდან ჩამობრძანება, ჩვენი საბარგულის მესაზიდრეს ნიჩაბი გამოართვა, შენ დაისვენე, მე კი ცოტას წავიმუშავებო.

აბა, ყოჩაღად, ბიჭებო, ყოჩაღად-მეთქი, მალიმალ გადავძახებდი ხოლმე ჯარისკაცებს, თუმცა ეს ზედმეტი იყო, რადგან ისინი თავაუღებლად მუშაობდნენ და ძალღონეს არ იშურებდნენ.

რაღაც ორმოციოდე წუთში საქმეს მოვრჩით და ზურგის ნაწილებმა გზა განაგრძეს.

ზემდეგმა ფაფახი მომხადა და ჩემი დამიბრუნა. შენ რაღაც ცხვირ-პირი წაიჭამე და რაიმე შარს გადამყრიო.

ეს კიდევ არაფერი! შევისვენეთ თუ არა, ხოხლოვმა საბარგულზე დადებული ბარგი გადაატრიალა და ძველი, ორ-სამ ალაგას დამწვარი ყურებიანი თბილი ქუდი ამოიღო და ხელში მომაჩეჩა, ამას იქით შენს თავზე ფაფახი არ დავინახო, ჯარისკაცს ეს ეკუთვნისო. გული დამწყდა. მინდოდა, რომ ნატაშას გენერალივით ვჩვენებოდი. ოჰ, ხოხლოვ, ხოხლოვ, როგორ არ გინდა, რომ ლაზათიანად გამოვიყურებოდე ამ წუთებში მაინც! მიზეზს ხომ არ ვეტყოდი. ჩემი სიყვარულის ამბავი ნაწილში მხოლოდ მასლოვმა იცოდა.

ბატარეას პატარა სოფლის შორიახლო, ტყის პირას ეკავა საცეცხლე პოზიცია. თუმცა სოფელი სადღა იყო. ყველაფერი ნაცარტუტად ქცეულიყო, ნასახლარზე გამურული ღუმელის მილებიღა იდგა. გზისპირები სავსე იყო დამსხვრეული, თუ მტრის მიტოვებული ტანკებით, ქვემეხებით, ავტომანქანებით. ყოველ ნაბიჯზე ეყარა წანამქრული ადამიანების გვამები, გაბერილი ცხენების მძორები.

ჰაერში თოფის წამლის, ტრუსისა და რაღაც ამაზრზენი, დამწვარი ხორცის სუნი ტრიალებდა. ყველაფერს გაჭვარტლული სუდარის ელფერი დაჰკრავდა. ამ ფერისა იყო თვით ზეცაც: და ირგვლივ ისეთი მდუმარება სუფევდა, ვით სასაფლაოზე. ხანდახან თავზე ყვავები თუ დაგვჩხავლებდნენ, რაც ირგვლივ ჩამოვარდნილ სიჩუმეს კიდევ უფრო შემზარავსა ხდიდა. საოცარია: აქ, ბრძოლის ველზე, ასე ერთბაშად როგორ მომრავლდნენ ისინი! ნუთუ მართალია, ჯარისკაცები რომ ამბობენ, ყვავები ქვეყნის ყველა კუთხიდან ფრონტზე მოემურებიანო?!

მე კოფოზე ვიჯექი. ზემდეგს უკან მოეკალათა. ფეხებში წვნიანით სავსე თერმოსი ედგა. ცეცხლის ენები ლოკავდნენ მეწამულ ცის კიდურებს. ისე მეჩვენებოდა, თითქოს სისხლის ოკეანეში მივსრიალებდით. სადღაც, დასავლეთით შორსმსროლელი ქვემეხი გრუხუნებდა. ღამის სიპეშვიდეში შხუილით მოფრინავდნენ ჭურვები და ჩვენს შორიახლო ტყეში ზარითა და ზათქით ენარცხებოდნენ.

დიდ გზაჯვარედინზე გავედით, აი, ესეც ლენინგრადის გზატკეცილი, თქვა ზემდეგმა და მანჯიკი მარჯვნივ შემაბრუნებინა.

ალაგ-ალაგ შარაგზა ყუმბარებით იყო გადათხრილი. ორმოები თოვლს ამოევსო. ბნელოდა, ვერაფერს ვხედავდი. ცხენი ნებაზე მივუშვი, სწრაფად მივსრიალებდით, მაგრამ თანდათან გზა ისე გაოღროჩოღროვდა, მანჯიკი ხან შეკორიკავდებოდა, ხან ორმოებში ვარდებოდა.

ფრთხილად, ფრთხილადო, გაიძახოდა ზემდეგი, თან ისე ამოიოხრებდა ხოლმე, ვითომ უნდოდა ეთქვა, აბა, რა გელაპარაკო, ამოდენა გზაზე მანჯიკი წესიერად ვერ გაგიტარებიაო.

ხელმარჯვნივ მოგიზგიზე ცეცხლის კოცონები გამოჩნდა.

ალბათ, ეს არის სოფელი ზავიდოვო, წაილაპარაკა ზემდეგმა და, გამაფრთხილა გარეკე, რა ნელა მიდიხარ, მაწვნის ქილები ხომ არ მიგაქვსო.

ცხენს სადავეებს ზურგზე ვურტყამდი, მათრახს ჰაერში ვატყლაშუნებდი. ყურებდაცქვეტილი ცხენი რატომღაც მძიმედ, მორიდებით გარბოდა. ალაგ-ალაგ რაღაცას წამოჰკრავდა ხოლმე ფეხს, და ფრუტუნით განზე ხტებოდა.

ერთგან მარხილის ხელნას რაღაც წამოედო, ერთბაშად ისე ავყირავდით, მეც და ზემდეგიც კინაღამ ძირს გადავკოტრიალდით.

თვალებდაცეცებული წინ ვიცქირებოდი, მაგრამ გზა გადანამქრული იყო და ვერაფერს ვხედავდი.

ამასობაში ღამე დაიფერფლა. ცის კიდურიდან განთიადის მაუწყებელი სხივი გამოკრთა. გზის ორივე მხარეს დათოვლილ ველებს სინათლე შეეპარა.

უცებ ცხენი შეჩერდა. თავი ჩაღუნა, თითქოს რაღაცას სუნავსო. თან ფრუტუნებდა, უკანა ფეხები უძაგძაგებდა.

ცხენს სადავეები ზურგზე დავცხე, ჰაერში მათრახი გავატყლაშუნე, თან შევუძახე, ცოტაღა დარჩა, წინ, წინ ჩემო მეგობარო-მეთქი.

ცხენმა ღონივრად გაიქნია თავი, სადავე წამართვა და გზიდან ერთბაშად მარჯვნივ გახტა.

ზემდეგი თვლემდა, თუ რა დაემართა, მეც არ ვიცი, თავი ვერ შეიკავა და თოვლში გაგორდა.

მე კი კოფოდან გადახტომა მოვასწარი. სადავეს ჩავებღაუჭე და ცხენს ავედევნე.

ფეხი რაღაცას წამოვკარი და კინაღამ გავიშხლართე. ჯერ მორი მეგონა, მერე გავიფიქრე, ვაითუ დაყოვნებული მოქმედების ყუმბარაა, ემანდ არ აფეთქდეს-მეთქი და შეშინებულმა ძირს დავიხედე... დავიხედე და ელდა მეცა. ფერხთით ადამიანის ცხედარი ესვენა. იქვე თოვლში მეორეს ამოეყო ხელები... ორ ნაბიჯზე მესამე მოჩანდა. და მთელი გზატკეცილი თოვლწაყრილი გვამებით იყო მოფენილი.

— აი, შე უქნარა, ჩაგეძინა?! — დამიტია ზემდეგმა, თოვლში გაგორებული ფაფახს რომ სწმენდდა, — მოჰყევი ახლა შენებურად თავის მართლებას, რა არი, რა მოგელანდა?

— ამხანაგო ზემდეგო...

ხოხლოვი ახლო მოვიდა, გვამები რომ დაინახა, ერთი საშინლად ამოიგმინა და წამჩურჩულა, წავიდეთ, არ შემიძლია ამ საშინელების ყურებაო.

გზატკეცილის გვერდით მინდორ-მინდორ მივდიოდით, მაგრამ მაინც ვფრთხილობდით, რადგან ცხედრებს აქაც ვაწყდებოდით.

ამასობაში გათენდა კიდეც. შემზარავი სურათი დავინახეთ: სოფლის მხარეს თეთრზეწარგადაფარებულ ველზე ისე ეყარა გაფიჩხული, დამახინჯებული გვამები, ვით მდინარის პირას გამორიყული ნარიყი. იქით, შორს ისინი თოვლში ამოყოფილ კუნძებს ჰგავდნენ, ველის დასალიერზე კი შავ წერტილებად მოჩანდნენ.

ნაცარტუტად ქცეული სახლები ისევ ხრჩოლავდა. სოფლის განაპირა უბანში უვნებლად ოთხი ხის სახლი და ორი საბძელიღა იდგა. გზაზე მტრის მიტოვებული მანქანები თოვლს წაენამქრა. სოფლის მოედანზე გერმანელ ტყვეებისათვის მოეყარათ თავი.

სიცივისაგან გაცრეცილი, აკონკილი გერმანელები, სახესა და ყურებზე ამოგუნგლული პირსახოცები რომ შემოეხვიათ, გაჭვარტლულ ბუხრის მილს ეკვროდნენ... ზოგს გაქექილ ნაცარში ჩაეყო ხელ-ფეხი.

იქვე მტრის მიტოვებულ ზარბაზნებს ლულები ცისკენ აღემართათ, თითქოს ჩადენილ ცოდვებისათვის ღმერთს პატიებას სთხოვდნენ.

უვნებლად გადარჩენილი უბნისაკენ გადავუხვიეთ, რადგან ჯარისკაცებმა გვირჩიეს, იქ რომელიღაც ნაწილის ოფიცრები იმყოფებიან და იმათ ეცოდინებათ თქვენიანების ადგილ-სამყოფელიო.

ზემდეგი ჭიშკართან თავმოყრილ ოფიცრებთან მივიდა მაგრამ იქ ჩვენიანი არავინ აღმოჩნდა.

სადგურ ნოვოზავოდსკისკენ ავიღეთ გეზი, ორივენი ვდუმდით... ფართო გზატკეცილზე ცხენს ფეხი უცურდებოდა. მანჯიკი ჯანჯღარებდა, ირყეოდა. მწუხარედ გამოიყურებოდნენ ტოტებგასხეპილი ტყეები, გვამებით მოფენილი მინდვრები. ირგვლივ ისეთი სიჩუმე იდგა, ცხედრის გამოსვენების შემდეგ დაცალიერებულ ოჯახში რომ დაისადგურებს ხოლმე.

გზისპირას სანიტარულ მანქანებთან კაპიტან ერმაკოვს შევასწარი თვალი. ცალი ხელი შეხვეული ჰქონდა და ბანდით მკერდზე ეკიდა. ერმაკოვს რომ მივესალმეთ, ზემდევი შეეკითხა:

— ამხანაგო კაპიტანო, სად არის ბატარეის მართვის ოცეული?

— იქ! — ხელი დასავლეთით გაიშვირა, — ორმოცი კილომეტრით წავიწიეთ. ამხანაგო ზემდეგო, შენ ბატარეას დაელოდე, მე და კახაბერი კი წინ წავალთ!

— არის, ამხანაგო კაპიტანო! — მიუგო ზემდეგმა და მანჯიკიდან გადავიდა.

— ამხანაგო კაპიტანო, მოითმინეთ, ექიმმა გაგსინჯოთ, იქნებ ჭრილობაში ნამსხვრევი გაქვთ, — ეუბნებოდა ერმაკოვს მედდა.

მე კი ამ დროს სანიტარულ მანქანებს ხარბად ვათვალიერებდი. არა, ის აქ არა ჩანს, სადღაც იქ იქნება, სადაც დაჭრილ ბიჭებს ყველაზე მეტად უჭირთ. ვიცი რანაირია ნატაშა. ცეცხლის წვიმაში ტრიალებს და ნატყვიარ ბიჭებს არ შორდება. მაგრამ იქნებ... ამის გაფიქრებაზე დამცეცხლა. „მალე, ამხანაგო კაპიტანო!“ — მედდას შევუბღვირე, რას გვაყოვნებ-მეთქი. ცხენის სადავე ავკრიფე და კაპიტანს შევხედე.

— სჯობია მძიმე დაჭრილებს მიხედოთ! — მიუგო ერმაკოვმა მედდას, მანჯიკში ჩაჯდა და მიბრძანა: — აბა, დასძარი შენი მერანი, გაქცეულ მტერს გამოვედევნოთ!

მეც ეს მინდოდა, ცხენს დავუცაცხანე და წავედით.

— ჩვენც შეგვძლებია დარტყმა! — აღტაცებით ამბობდა ერმაკოვი, — ისე გარბიან, გვიჭირს დაწევა!

თავდავიწყებით მივაგელვებდი ცხენს, თან ხმამაღლა შეძახილით ვამხნევებდი.

კისერმოღერებული ცხენი მიჭიხვინებდა და ფაფარგაშლილი ლაღად მიფრინავდა, თითქოს გამიგო, რომ მე ყველაზე ძალიან მეჩქარებოდა...

# 1945 წლის 9 მაისი












ტრიბუნაზეა გალაკტიონ ტაბიძე.

სიტყვას ამბობს აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე.

ზეიმი სოფელ ატენში.

ზეიმი დინამოს სტადიონზე. ვერიკო ანჯაფარიძე და ელისაბედ ჩერქეზიშვილი.

ტრიბუნაზეა ი. გრიშაშვილი.

საქართველოს კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ინახება ისტორიის ცოცხალი ფურცლები. მათ შორის დიდი ადგილი აქვს დათმობილი სამამულო ომის ამსახველ კინომატიანეს. ომის დამთავრების ზეიმისადმია მიძღვნილი ერთნაწილიანი დოკუმენტური კინონარკვევი „გამარჯვების დღესასწაული“. ავტორი-რეჟისორი ირაკლი კანდელაკი, ოპერატორები ო. დეკანოსიძე, ა. აჯიბეგიშვილი, ნ. ნაგორნი, ა. სემიონოვი, ი. რიჟკოვი, ი. ედიგარაშვილი, ა. პოლოსოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი გამარჯვების 30 წელი

# ბრძოლებში შობილი სიმამაცე

მათ შორის, ვინც მამაცურად იბრძოდა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი დავით ჩხიკვიშვილიც არის.

ავიატექნიკური სკოლის კურსდამთავრებულს ომმა ერთ-ერთ საავიაციო ნაწილში მოუსწრო. და აი, მსროლელი-რადისტი დავით ჩხიკვიშვილი პირველ დღეებიდანვე საბრძოლო პოზიციებზეა.

1941 წლის ოქტომბერი იდგა. ნაწილი, რომელშიც დავითი მსახურობდა, მუდმივ მზადყოფნაში იყო. ღამე ისე არ გაივლიდა, რომ რამდენიმე საბრძოლო გაფრენა არ მოეხდინათ.

მტრის ერთ-ერთი სტრატეგიული ობიექტის წარმატებით დაბომბვის შემდეგ საჰაერო ხომალდი თავის ბაზაში ბრუნდებოდა. ნერვიული დაძაბულობა უცბად გაქრა. დავითი მოეშვა, ფიქრებში ჩაიძირა. მოტორის რიტმულმა გუგუნმა რატომღაც ზღვის ტალღები გაახსენა, ზღვამ — მშობლიური ბათუმი. მერე კი თითქოს ნათლად წარმოუდგა თვალწინ თავისი სახლი, ახლობლები. გული სევდით შეეკუმშა.

აეროდრომამდე ცოტაღა რჩებოდა. ღრუბლებიდან მოულოდნელად მტრის თვითმფრინავები გამოვარდნენ. ისინი სწრაფად ახლოვდებოდნენ.

„მესერშმიტებმა" ჩვენს გამანადგურებელს კუდიდან შემოუარეს და შეტევისათვის განლაგდნენ. ფაშისტების თვითმფრინავები გამანადგურებლის ქვევით მიფრინავდნენ. ტყვიამფრქვევის ჯერით მათი დაცხრილვა შეუძლებელი იყო.

გონება დაძაბულად მუშაობდა. წუთის დაკარგვას შეიძლება ყველაფერი გადაეწყვიტა.

ნათელმა აზრმა უცბად გაუნათა გონება დავითს. წამიც არ დაუკარგავს, ტყვიამფრქვევი აიტაცა, სწრაფად ჩაეშვა თვითმფრინავის სიღრმეში და ქვედა ლიუკიდან მოულოდნელი ცეცხლი გაუხსნა მტერს. ასეთი პოზიციიდან, ცხადია, მტერი არ მოელოდა ცეცხლს. ფაშისტი მფრინავები დაიბნენ, მაშინვე ზევით აიჭრნენ და ისევ წამოიწყეს შეტევა.

დავითმა, თითქოს ყურადღება მოადუნაო, ერთი „მესერშმიტი" მარცხნიდან ახლოს მოუშვა და მერე უცბად გაუხსნა ცეცხლი. ტყვიამფრქვევის ჯერს ახალი ჯერი მოჰყვა, მეორეს — მესამე... თვითმფრინავებს შორის მანძილი სწრაფად მცირდებოდა. სულ რაღაც ორასიოდე მეტრიღა დარჩა. გერმანელი მფრინავი გააფთრებით უშენდა ცეცხლს ჩვენს თვითმფრინავს.

დავითმა ხელსაყრელი მომენტი შეარჩია, ზუსტი დამიზნებით ტყვიამფრქვევის ჯერი დააყარა. „მესერშმიტი" შავ კვამლში გაეხვია, აყირავდა და მიწისკენ დაეშვა.

შეტევაზე გადმოსულ მეორე „მესერშმიტს" მიუბრუნდნენ, მაგრამ ნირწამხდარმა ფაშისტებმა გაცლა ამჯობინეს, სწრაფად შეტრიალდნენ და დასავლეთისკენ მიეფარნენ ღრუბლებს.

ჩვენმა თვითმფრინავმა კურსი აეროდრომისკენ აიღო. წინ კიდევ ახალი საბრძოლო გაფრენები იყო...

ოცი წლის დავით ჩხიკვიშვილს ომის პირველ წელს უკვე მტრის შვიდი თვითმფრინავი ჰყავდა მოსპობილი.

რამდენიმე ხნის შემდეგ იგი ახლობლებს წერდა: „საბრძოლო გაფრენის დროს ჩვენი თვითმფრინავი დაზიანდა. მე დავიჭერი. მტრის ერთი თვითმფრინავი მაინც გავანადგურე, რომელიც მფრინავთან ერთად დაიწვა. ჭრილობა უკვე მომიშუშდა. ისევ ჩავები ბრძოლებში".

ბრძოლების ეს გზა დავით ჩხიკვიშვილმა ბოლომდე ისევ სასახელოდ განვლო და შინ ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა.

ნელი სარიბეკოვა

# გზა ბერლინისაკენ მიდის

თადარიგის კაპიტანმა ილია ტატიშვილმა ომის დიდი გზა განვლო, გერმანელ ფაშისტებთან ბრძოლაში ბევრჯერ ისახელა თავი და მთავრობის მრავალი ჯილდო დაიმსახურა.

ამჯერად ჩვენ გვინდა ილია ტატიშვილის მდიდარი საბრძოლო ბიოგრაფიიდან ერთი ეპიზოდის შესახებ მოვუთხროთ მკითხველებს.

* * *

ეს ამბავი 1945 წლის იანვარში მოხდა.

საბჭოთა ჯარების 38-ე არმიის 31-ე სატანკო ბრიგადამ, რომელიც ფეხდაფეხ მისდევდა კრაკოვისაკენ უკან დახეულ მტერს, დიდმნიშვნელოვანი საბრძოლო დავალება მიიღო.

ბრიგადის მეთაურმა პოლკოვნიკმა ს. ხოპკომ ოფიცრებსა და მექანიკოსებს გააცნო დავალება:

— ჩვენი ამოცანაა, მეავტომატეთა ათასეულთან ერთად, რომელიც ჩვენს ბრიგადაზეა მომაგრებული, ელვისებური იერიშით დავიკავოთ სარკინიგზო კვანძი ნოვი სონჩი, ამაღამვე მოულოდნელად შევიჭრათ მტრის ღრმა ზურგში, მდინარე დუნაეცზე ხელთ ვიგდოთ ხიდი და ჩვენი შემტევი არმიის ნაწილების მოსვლამდე შევინარჩუნოთ იგი.

დავალება მეტად სერიოზული იყო. შეტევაზე გადასული არმიის წინსვლა ახლა 31-ე სატანკო ბრიგადაზე იყო დამოკიდებული: მტრის ზურგში მდინარე დუნაეცზე ხიდის ხელში ჩაგდება და მისი შენარჩუნება, ცხადია, მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ჩვენი არმიის შეტევის წარმატებას.



არმიის სარდლობისათვის ცნობილი იყო, რომ გერმანელები ხიდის აფეთქებას აპირებდნენ. დრო, როგორც იტყვიან, მილიონი ღირდა. ხიდი, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, ტანკისტებს იმ ღამესვე უნდა ეგდოთ ხელში. მაგრამ სატანკო ბრიგადას მოულოდნელი დაბრკოლება გადაეღობა წინ. დუნაეცისკენ მიმავალ გზაზე, ერთ ვეებერთელა ხრამზე, ჰიტლერელებს ხიდი აეფეთქებინათ, ხიდის აღდგენის დრო აღარ იყო, ეს ბუნებრივი დაბრკოლება უხიდოდ უნდა გადაელახათ ჩვენს ტანკებს.

ბრიგადის ტანკები გრუხუნით ჩაეშვნენ ხრამში. რამდენიმე საათის გულმოდგინე ცდა ამაო გამოდგა.

საბრძოლო დავალების შესრულება საფრთხის წინაშე დადგა. და მაშინ, როცა მდგომარეობა თითქმის გამოუვალი იყო, ბრიგადის მეთაურს სატანკო ოცეულის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი ილია ტატიშვილი მიუახლოვდა.

— ამხანაგო ბრიგადის მეთაურო, გთხოვთ ნება დამრთოთ, ეს დავალება შევასრულო!

ილია ტატიშვილმა მანამდე გულმოდგინედ შეისწავლა ხრამის რელიეფი. სწრაფად შეიმუშავა დაბრკოლების გადალახვის გეგმა, თუმცაღა ეს გეგმა მეტად სახიფათო იყო: ტანკი შეიძლება რამდენჯერმე გადაბრუნებულიყო.

ილია ტატიშვილი მარტოდმარტო მიუჯდა საჭეს. მეგობრები დაძაბული შესცქეროდნენ მას, ოციოდე წუთის შემდეგ, როცა ილიას ტანკი ხრამის მეორე ნაპირზე გავიდა, ყველამ შვებით ამოისუნთქა. ტატიშვილის მაგალითს სხვებმაც მიბაძეს, მაგრამ მეორე ნაპირზე გასვლა მხოლოდ კიდევ ერთმა ტანკმა შეძლო.

* * *

ეს იყო საოცარი სვლა.

მტრის ღრმა ზურგში ორი საბჭოთა ტანკი მიიწევდა. წინ ილია ტატიშვილი მიდიოდა, ორთავე ტანკზე მზვერავთა ოცეულისა და მესანგრეთა ათეულის მებრძოლები მოკალათებულიყვნენ.

ჯერ კიდევ ბნელოდა. დილის ბინდბუნდში გამოჩნდა რკინიგზის სადგური მარცინკოვიცე. ამ სადგურიდან მდინარე დუნაეცის ხიდამდე 10-12 კილომეტრიღა რჩებოდა.

ილია ტატიშვილმა და მეორე ტანკის მეთაურმა მიხეილ ჩუპილკომ სწრაფად მიიღეს გადაწყვეტილება. კიდევ ორიოდე წუთი და ტატიშვილმა ქვემეხის ზუსტი დამიზნებით მწყობრიდან გამოიყვანა მტრის ეშელონის ორთქლმავალი. იმავე წუთს ჩუპილკომ გახსნა ცეცხლი. მტრის მეორე ეშელონიც გამოიყვანეს მწყობრიდან და სწრაფად გაიჭრნენ ხიდისაკენ.

ხიდზე გერმანელები ტრიალებდნენ. ეჭვი არ იყო, ისინი ასაფეთქებლად ამზადებდნენ 500 მეტრი სიგრძის რკინაბეტონის სტრატეგიულ ხიდს.

ავტომატების ჯერმა მოცელა ჰიტლერელები. ხიდი ჩვენმა მებრძოლებმა იგდეს ხელთ. გერმანელებისათვის, ცხადია, წარმოუდგენელი იყო ორი საბჭოთა ტანკის ასეთი „თავხედობა", ისინი მალევე მოეგნენ გონს და გააფთრებულ შეტევაზე გადმოვიდნენ.

იმ დღეს მტრის ოთხი შეტევა მოიგერიეს ჩვენმა მებრძოლებმა. ჰიტლერელები არც მეორე დღეს დაცხრნენ, ზედიზედ გადმოდიოდნენ შეტევაზე.

გააფთრებული ბრძოლა გრძელდებოდა. მტრის ღრმა ზურგში შეჭრილი ორი ტანკი და რამდენიმე საბჭოთა მებრძოლი გააფთრებით იცავდა ხიდს.

და აი, ხიდს შეტევაზე გადასული 38-ე არმიის ნაწილები მოადგნენ. მათ დაუბრკოლებლად გადაიარეს ხიდზე და ფეხდაფეხ განაგრძეს მტრის დევნა.

ილია ტატიშვილმა ძმურად გადაკოცნა მიხეილ ჩუპილკო, ჩაფხუტი შეისწორა, ტანკი დაძრა და დასავლეთისკენ აიღო გეზი. ეს ცეცხლოვანი გზა კი ბერლინისაკენ მიდიოდა.

ოთარ ქავთარაძე



ჯ. მიქატაძე — გამარჯვების თანატოლი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ცინცაძე — ფოსტალიონი.

ვ. ბასილაშვილი — 1945 წ. 9 მაისი.



ეროვნული ბიბლიოთეკა







ო. ჩუბინიძე — მშვიდობიანი ცისქვე



რ. სტურუა —
რაიხსტაგის აღება

# შეხვედრა სტალინგრადში

მსოფლიოს ელვის სისწრაფით მოედო ამბავი საბჭოთა ჯარების უმაგალითო გამარჯვების, სტალინგრადთან გერმანელთა რჩეული დივიზიების განადგურებისა და მათი კაპიტულაციის შესახებ. ხალხის აღტაცებას მსოფლიოს ყველა კუთხეში საზღვარი არ ჰქონდა, აუარებელი მისალმების დეპეშა და შეკითხვა მოდიოდა მოქმედ არმიაში სხვადასხვა ქვეყნებიდან.

იმ ხანებში მე ვმეთაურობდი 51-ე მსროლელ დივიზიას, რომელიც უშუალო მონაწილეობას იღებდა სტალინგრადის დაცვაში.

ერთ დღეს, არმიის სარდალმა გენერალმა ივანე ჩისტიაკოვმა მაცნობა, რომ ჩვენს დივიზიას სტუმრად ეწვეოდნენ ამერიკელი გენერალი და კორესპონდენტი.

მივხვდით, რომ ისინი ცნობისმოყვარეობამ მოიყვანა აქ. უნდათ თავიანთი თვალით ნახონ ყველაფერი, გაიგონ რაშია ჩვენი ძალა და როგორია საბჭოთა არმიის ბრძოლისუნარიანობა, უნდათ გვნახონ ჩვენ, მებრძოლები, რომლებმაც საშინელი ომის ქარცეცხლი გამოვიარეთ.

— ჩვენ მათ უნდა შევხვდეთ ჩვენებური სტუმართმოყვარეობით, — ვუთხარი ამხანაგებს, — დაე, ნახონ, რომ კარგად გვეხერხება მტრის დახვედრაც და მოყვრის მიღებაც. უნდა დარწმუნდნენ, რომ მათ დაუხმარებლადაც შევძლებთ მტრის მოსპობას. ჩვენ მათი იმედით არც გვიცხოვრია და არც გვიბრძოლია.

— თქვენ სავსებით მართალი ხართ, ამხანაგო გენერალო! — მითხრა დივიზიის გაზეთის რედაქტორმა ქოჩარმა.

თათბირის შემდეგ ჩემთან დავტოვე ჰრაჩია ქოჩარი, ექიმი კლარა ხოჭოლავა და მზარეული დავით ვერულავა.

— ხვალ, ალბათ, პურ-მარილს გავმართავთ, — ვუთხარი კლარას, — აბა შენ იცი, სირცხვილი არ გვაჭამო. ახლახან საქართველოდან და სომხეთიდან ამანათები რომ მივიღეთ, იქიდან ამოარჩიე და გადაინახე სურსათ-სანოვაგე.

— მესმის, ამხანაგო გენერალო! — მითხრა კლარამ, — ყველაფერს მოვამზადებთ.

უცხო სტუმრები მეორე დღეს გვეწვივნენ. ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სამხედრო მინისტრი — გენერალი პატრიკ ჯ. ჰერლი კარგი შესახედაობის, შუახანს გადაცილებული კაცი იყო. იგი განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებოდა ყველაფერს, გამომეტყველებაზე შეატყობდით, რომ დაკვირვებული და საღი აზროვნების ადამიანი იყო. კორესპონდენტი კი შედარებით ახალგაზრდა ჩანდა, ისიც კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

მათ შესახვედრად საპატიო ყარაული მოვაწყვე, სტუმრებს პირადად შევეგებე. ჩვეული ცერემონიალის შემდეგ, ჩამწკრივებულ საპატიო ყარაულს ჩავუარეთ, მერე შტაბისაკენ ავიღეთ გეზი, ბოლოს კი ჩვენს „სასტუმროში" მივიპატიჟე და ჩემი მოადგილეები — დივიზიის შტაბის უფროსი, პოლიტგანყოფილების უფროსი, ჩვენი გაზეთის რედაქტორი და სხვა ოფიცრები წარვუდგინე. ამერიკელს ჩემკენ ეჭირა თვალი და ვატყობდი, რაღაცის თქმას აპირებდა.

— ხომ არაფერი გნებავთ, ბატონო გენერალო? — ვკითხე მას.

— დიახ, თქვენ მიმიხვდით. ყველაზე მეტად მე მაინტერესებს ბრძოლის ველი და გერმანელთა ის საბრძოლო ტექნიკა, რომელიც ნადავლად დაგრჩათ. სად შეიძლება ყოველივე ამის ნახვა? ღვთის გულისათვის, გამიწიეთ გიდობა, ბატონო გენერალო.

შოფერმა მოწყვეტით დაძრა მანქანა, მე და ამერიკელი გენერალი გავყევით საფრონტო გზას სტალინგრადის მიდამოებში.

ნახევარი კილომეტრი რომ გავიარეთ, ამერიკელმა გენერალმა ავტომანქანა შეგვაჩერებინა და გადმოსვლა ინება. გამიკვირდა, აქ რისი ნახვა აინტერესებს-მეთქი. დახოცილი და გაყინული ჰიტლერელი ჯარისკაცები შეენიშნა. იგი უხმოდ მიმოდიოდა მათ შორის და დახოცილთ აკვირდებოდა.

დაახლოებით ერთი საათი იარა ფეხით ამერიკელმა.

მერე ისევ ჩავსხედით მანქანაში და წინ გავწიეთ.

თვალუწვდენელი ველები სტალინგრადის შემოგარენში დამტვრეულ-დამსხვრეული ავტომანქანებით, ტანკებით, ქვემეხებით, ნაღმსატყორცნებით და თვითმფრინავებით იყო დაფარული.

— განსაცვიფრებელია, წარმოუდგენელია, დაუჯერებელია! — წამდაუწუმ იძახდა გენერალი, კორესპონდენტი კი ფოტოაპარატით იღებდა ფირზე ბრძოლის ველის ამ „პეიზაჟებს".

ირგვლივ, თითქოს საგანგებოდ მწყობრში არიანო, ისე იდგა და ეყარა გერმანელთა მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანები, ტანკები, ჯავშნოსნები, მოტოციკლები, ქვემეხები, ტყვიამფრქვევები, ნაღმსატყორცნები, ავტომატები, შაშხანები. მათი დათვლა, მართლაც შეუძლებელი იყო!

— ნუთუ ამოდენა ტექნიკა ჰიტლერმა იმისათვის აკეთა, რომ აქ რკინის საბადოები შეექმნა?! — თქვა ბოლოს ამერიკელმა გენერალმა.

პატრიკ ჯ. ჰერლიმ ჰორიზონტს გახედა, მერე ირგვლივ დაიწყო ყურება, დიდხანს ათვალიერებდა მიდამოს, შემდეგ მომიბრუნდა და მითხრა:

— თითქმის ექვსი საათია დავდივართ და ვათვალიერებთ ამ დაუჯერებელ, საოცარ სანახაობას. კიდევ ექვსი თვე რომ იარო, ალბათ, ვერ მოასწრებ ყველაფრის ნახვას. ბატონო გენერალო, იქნებ დასასვენებლად წავიდეთ?!

— თქვენ რომ უბანი ინახულეთ, ეს ძლიერ მცირე ნაწილია მთელი ფრონტისა, ამაში, ალბათ, დამეთანხმებით, ბატონო გენერალო!

— ახლა ეჭვი აღარ მეპარება თქვენს ნათქვამში. მაგრამ მაინც წარმოუდგენელია, დაუჯერებელია!

სახელდახელო საუზმისა და დასვენების შემდეგ ამერიკელებმა სურვილი გამოთქვეს ჩვენთან ესაუბრათ. შტაბში მივიწვიეთ, სადაც მათ მეთაურთა თითქმის მთელი შემადგენლობა შეხვდა.

ამერიკელი დეტალურად მეკითხებოდა ჩატარებულ ოპერაციებზე. მეც გავუშალე რუკა და ყველაფერი ავუხსენი. გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ გენერალი ძალიან მომზადებული აღმოჩნდა. შევატყვე, რომ ჩვენც კარგი შთაბეჭდილება მოვახდინეთ მასზე. ბოლოს მითხრა:

— ბატონო გენერალო, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამ მცირე საუბრის შემდეგ ბევრი ახალი რამ გავიგე, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ხნოვანებაც რაღაცას ნიშნავს. მაპატიეთ შეკითხვისათვის, თქვენ რუსს არა ჰგავხართ, საიდან ბრძანდებით?

— ქართველი გახლავართ, — მივუგე მე.

— ოო, ეს საგულისხმოა, თქვენ სტალინის ქვეყნიდან ყოფილხართ. მე ზოგი რამ წამიკითხავს და მსმენია საქართველოსა და ქართველების შესახებ. ჩვენთან, სამხედრო კოლეჯებში ასწავლიან ქართულ სამხედრო ხელოვნებას, კარგადაა ცნობილი მეფე ერეკლე მეორის ბრძოლები.

საუბრის ბოლოს ამერიკელმა გენერალმა მითხრა:

— ახლა ნება მიბოძეთ, მადლობა გადაგიხადოთ გულთბილი მიღებისათვის და გამოგემშვიდობოთ.

— ბატონო გენერალო, თქვენი ოფიციალური ვიზიტის მიზანი, ალბათ, უკვე განახორციელეთ, მაგრამ მობრძანება თქვენი ნება გახლდათ, წაბრძანება კი ჩვენი. გთხოვთ, მაგიდას შემოვუსხდეთ და იქ განვაგრძოთ ჩვენი საუბარი.

ამერიკელი დაგვთანხმდა. წავედით იქვე მახლობლად, სადაც გველოდებოდა გაშლილი სუფრა, რომლის გაწყობა-ორგანიზაცია ექიმ კლარა ხოჭოლავას და მზარეულ დავით ვერულავას მივანდე.

მაგიდას რომ მივუსხედით, ამერიკელს გაკვირვება შევამჩნიე. უნდა გამოგიტყდეთ, რომ მეც არ მოველოდი ასეთ სუფრას. იგი ჩვენებურ საქორწილო სუფრას მოვაგონებდათ.

ამერიკელმა სასმელებიდან უპირატესობა კონიაკს მიანიჭა. პირველი იოსებ სტალინისა და ფრანკლინ რუზველტის სადღეგრძელო შევთავაზე. ამერიკელმა თანხმობის ნიშნად, როგორც მისალმების დროს სჩვეოდა, ისე შეჰკივლა და სასმისი გადაჰკრა.

შემდეგ ამერიკელი და საბჭოთა ხალხების სადღეგრძელო შევთავაზე. ისევ შეჰკივლა და გადაჰკრა.

— ერთი მითხარით, ბატონო გენერალო, ჩვენ ახლა არაოფიციალურ შეხვედრაზე ვართ, მოდით, გულახდილნი ვიყოთ, — იხუმრა თავის მხრივ ამერიკელმა, — საიდან გაჩნდა ეს საჭმელები აქ, ფრონტის წინა ხაზზე? ეს ოჯახში დამზადებულსა ჰგავს, — ამერიკელმა ჩვენებურ ტკბილეულზე — ჩურჩხელებსა და ხმელ ხილზე მიუთითა.

— ბატონო გენერალო, ჩვენი ხალხი გვანებივრებს ასე. — საჩუქრებს გვიგზავნიან საქართველოდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან... იქ რომ წამობრძანდეთ, უფრო კარგ პატივსა გცემთ, დაგათვალიერებინებთ ჩვენი წარსულის ძეგლებს, გაჩვენებდით თუ რა შექმნა ხალხმა მას შემდეგ, რაც რევოლუცია მოვახდინეთ. აქ კი რა გაჩვენოთ — ეს ქალაქი, რომელიც მტერმა დაანგრია?!

სტუმარს მორიგი სასმისი შევთავაზე — საბჭოთა მხედართმთავრებისა და მებრძოლების სადღეგრძელო.

ჰრაჩია ქოჩარი ამერიკელ კორესპონდენტს ებაასებოდა. ეტყობოდა, ქოჩარი თავის მოვალეობას კარგად ასრულებდა, რადგან კორესპონდენტი წამდაუწუმ რაღაცას ინიშნავდა უბის წიგნაკში.

რამდენიმე ხნის შემდეგ გულთბილად დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

ჩვენი სტუმრები მანქანის ფანჯრებიდან კვლავ ყურადღებით მისჩერებოდნენ სტალინგრადთან განადგურებულ გერმანელთა არმიების დაჯგუფების დამწვარ-დამსხვრეული სამარი ტექნიკის უზარმაზარ სასაფლაოს.

**ნიკოლოზ თავართქილაძე,**
გადამდგარი გენერალ-მაიორი.

## მტერმა ვერ გატეხა...

რუსი გენერლები და ჯარისკაცები სულიერ მხნეობას არ კარგავდნენ თვით 1941 წლის უმძიმეს მდგომარეობაშიც კი.

გენერალი გ. გუდერიანი.

მოწინააღმდეგემ გვიჩვენა სრულიად წარმოუდგენელი უნარი წინააღმდეგობის გაწევისა. მან მძიმე დანაკლისი განიცადა არა მარტო 1941 წლის ზაფხულში, არამედ ზამთრის იერიშების დროსაც, რომელშიც დიდძალი ჯარი მონაწილეობდა. მაგრამ ყოველივე ამან ვერ გატეხა წითელი არმიის სიმტკიცე.

გენერალი კ. ტიპელსკირხი.

რუსების შეუპოვარი წინააღმდეგობის შედეგად ბრძოლების პირველსავე დღეებში გერმანელთა ჯარებმა ადამიანთა და ტექნიკის მხრივ ისეთი დანაკარგი განიცადეს, რომელიც საგრძნობლად აღემატებოდა იმ დანაკარგს, რაც მათთვის პოლონეთსა და დასავლეთში წარმოებული კომპანიის გამოცდილებით იყო ცნობილი.

გენერალი ფონ ბუტლარი.

საერთოდ, ახლა გახდა ცხადი, რომ რუსები არ ფიქრობენ უკან დახევაზე, არამედ, პირიქით, რაც კი მათ განკარგულებაშია, ყველაფერს იყენებენ სოლივით შეჭრილი გერმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

გენერალი ფ. ჰალდერი.

# წითელი ვაშლები

ჩვენს სოფელში დიდის გულისყურით ვუვლით ბაღ-ვენახებს, მაგრამ იმ ერთ ბაღს — შინმოუსვლელთა სახელი რომ ჰქვია, მაინც სულ სხვა მოვლა-პატრონობა აქვს, სულ ვაშლია, ერთი ჯიშისა, როგორც ის ბიჭები იყვნენ ერთი ჯიშისანი.

შვიდი წლის წინათ დავრგეთ ეს ხეები. ყოველ მათგანზე პაწია, წითლად შეფერადებული ფირფიცრები ჩამოვკიდეთ შინმოუსვლელთა გვარ-სახელებით.

დიდი ბაღი გამოვიდა.

ნიშანი ჯერ აქა-იქ გაღვივდა, სულ სხვანაირი გვეჩვენა მწვანე ფოთლებში ალაულაუებული წითელი ვაშლები.

შარშან ყველამ დაისხა. დავიბარე სოფლის გოგო-ბიჭები, დავაკრეფინე ვაშლი, კალათებში ჩავაწყობინე და შინმოუსვლელთა ოჯახებში ჩამოვარიგე.

მამაჩემის ხიდან ერთი კალათა მეც შევავსე.

მამაჩემი არ მახსოვს. ორი წლისა ვიყავი, ის რომ ჯარში წავიდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო. ომი დაიწყო თუ არა, მაშინვე დასთმო სოფელი და ოჯახი, თოფი ხელში აიღო და საომრად გაეშურა. ახლა შინმოუსვლელი ჰქვია. მისი დიდი სურათი კედელზე გვიკიდია, მისი სახელობის ხე ბაღის თავში დგას; სოფლის თავკაცი იყო და აქაც მეთაურად დგას ბიჭების სახელობის ბაღში.

ბიჭებისა-მეთქი. იმათში ოთხი გოგოც ურევია. მაგრამ ისინიც ვაჟკაცებად ითვლებიან. არც ერთ მათგანს დედობა არ ეღირსა და სულ ნორჩები სადღაც ცხრა მთასა და ცხრა ველს იქით დაიწვნენ. ახლა მათ სურათებს რომ დავხედავ ხოლმე, გული მეთუთქება.

მშობლის კვალს გავყევი. მეც თავმჯდომარედ ამირჩიეს. მამაჩემის მცნობნი მეუბნებიან, მამის ფეხი ხარ, ასე, შენსავით ყოჩაღი იყოო, რომ დასცლოდა, ისიც ბევრ რამეს გააკეთებდაო.

ჰოდა, მამაჩემის ხიდან დაკრეფილი ვაშლი შინ მოვიტანე. მე ვთქვი გავახარებ დედაჩემსა-მეთქი. კალათში კოხტად ჩაწყობილი წითელი ვაშლები დაინახა თუ არა, თვალში ცრემლი მოერია, მაშინვე სურათს გახედა და მიატირა:

— შეხედე, გოგი, შენი ხიდან დაკრეფილი ვაშლები, გოგი!

გული ამიდუღდა. შევტრიალდი და აივნის ბოძს ავეკარი. რა მექნა, აღარ ვიცოდი. ვინანე, რად მოვიტანე-მეთქი. დედაჩემის ხმა აღარ მესმოდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ტახტზე იჯდა და ცრემლიან თვალს მამაჩემის სურათს არ აშორებდა.

ჭიშკარმა გაიხმაურა. გავხედე. ეზოში მოხუცი პაპა იაგორა შემოვიდა. ერთი ცერად ამოიხედა მაღლა, აივნისაკენ და ჯოხის ბაკუნით წამოვიდა.

ჩავეგებე.

— თავმჯდომარევ! — შემტევი კილო აჟღერდა პაპა იაგორას ხმაში. ფოსოებში ჩაცვენილ თვალებშიც წყრომა გამოიხატა.

— რა მოხდა, იაგორა პაპა?

— რაღა რა მოხდა! ცრემლის განახლება გვინდოდა?! ი ვაშლი რო ჩამოგვირიგე, ხილი გვაკლდა?! რად გვინდოდა, ბიჭო! ზის ჩემი დედაკაცი და იმ ვაშლებს დასტირის. ჩვენ ორი კალათა მოგვიტანე, იმათ, რაღა ჰქნან, ჭაჭიაანთა, შანშიაანთა, დათიკაანთა, ექვს-ექვსი კალათა რომ მიუვიდათ! აგე, ჭაჭიაანთ დიმიტრიც მოდის.

გული ყელში ამომდიოდა.

ჩვენსკენ მომავალ ბერიკაცს ვუყურებდი. მოგვიახლოვდა. ცრემლით დაწითლებული თვალებით შემომხედა, რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ სიტყვა ათრთოლებულ ბაგეზევე გაუქრა და თვალში ცრემლი მოერია. იდგა, არაფერს მეუბნებოდა, მიყურებდა და ცრემლი დამჭკნარ ლოყებს უსველებდა.

ამას კი ველარ გავუძელ. თვალი მოვარიდე და უცებ სოფლის გზაზე რამდენიმე შაოსანი ქალი დავინახე. აქეთ, ჩვენსკენ მოდიოდნენ.

მღელვარება ველარ მოვთოკე და არ ვიცი, ალბათ მთელი სოფლის გასაგონად დავიძახე:

— მა რა მექნა, ხეზე ხო არ დავალპობდი?!

თენგიზ გოგოლაძე



მირზა გელოვანი

## მელოდე

მე დაბრუნებით ტკივილებს წავშლი,
ოღონდ მოსვლამდის, ოღონდ ბოლომდის,
როგორც გაზაფხულს ელიან მთაში, —
შენი ლამაზი გული მელოდეს.
შევყრი მეგობრებს, მაღალ მაყრიონს,
ორღობეებში გასრიალს დოლის,
ზეცის ჩამოხსნას, მთების შერყევას
ჯილდოდ მოვუტან ბრწყინვალე ლოდინს.
და შენს ეზოში დაუკრავს ზურნა,
დაბალი ხმებით დუდუნი დოლის,
აგიცხადდება სიზმარი შორი,
გაგახსენდება დობილთა ზრუნვა.
გეტყვიან... ოი, ჰკარგავ ბავშვობას,
ოი, დობილებს გტოვებ ბავშვებად,
მშვიდობა ყრმობას და თამაშობას,
მშვიდობის შუქი ნურც მოგეშვება.
...და ქორწილს ზეცის სუფრაზე გავშლი,
ოღონდ მოსვლამდის, ოღონდ ბოლომდის,
როგორც გაზაფხულს ელიან მთაში, —
შენი ლამაზი თრთოლვა მელოდეს.

1942 წ.

სევერიან ისიანი

## ნახვამდის!

მჯერა მამულის მზე არ გამრიყავს,
გულში სათუთად რომ ვინახავდი.
დედის ჭალარავ, ჩემო მარიკა,
ნახვამდის!..
ცაში ცეცხლია ლაჟვარდის ნაცვლად
და ყუმბარებით მთები იძვრიან.
ო, არა, კალმის და წიგნის კაცად
მე დღეს დარჩენა არ შემიძლია.
ჩემი აკვანი აქ გადაირწა,
მუხების ჩრდილში სტრიქონს ვჩარხავდი.
ჩემი თამაზის საფლავის მიწავ,
ნახვამდის!..
გფიცავ, შავ სიკვდილს თვალში ჩავხედავ,
საზიზღარ მტერზე ხიშტშემართული,
მე ასე მზრდიდა სამშობლო-დედა,
და ასე მზრდიდა მიწა ქართული.
მე თქვენს სიმწვანეს, მშობელო მთებო,
შემეძლოს, — მკერდში დავიმარხავდი,
ჩემო ჭალარა გოლიათებო,
ნახვამდის!..
თუ მტერმა დამცეს ხმალგაბასრულმა,
დარდს ნუ მოიხვევთ ღრუბლის გუნდებად,
რა ვუყოთ, ომში ბევრი წასულა,
მაგრამ ყველა ხომ ვერ დაბრუნდება...
არა, სამშობლო მზე არ გამრიყავს
გულში სათუთად რომ ვინახავდი.
დედის ჭალარავ, ჩემო მარიკა,
ნახვამდის!..

1942 წ.

ვლადიმერ უბილავა

## გაიშრიალებს ფრონტზე ფარაჯა

ტანზე მოისხამს რუსულ ფარაჯას
და ფრონტზე ვაჟკაცს მისდევს ვაჟკაცი,
ძმებო, ჩვენ მამულს ვყავდეთ დარაჯად
ხიშტებისა და ხმლების კაშკაშში.
რა ვარ, ბრძოლაში თუ დავვარდები,
მტერს შემოსეულს თუ არ დავხვდები;
ვერ გამითელონ ბაღში ვარდები,
ვერ დამიჩრდილონ მთების კალთები!
ვინ მოინდომა აკლება მისი!
ვინ მოგვისია ურდო მკვლელების!
ჩვენივე სისხლით, ჩვენივე სისხლით
ვიხსნათ ეს მთები და ეს ველები!
გაიშრიალებს ფრონტზე ფარაჯა,
ტყვიას ტყვიაში აჯენს ვაჟკაცი,
იბრძვის და მამულს უდგას დარაჯად
თოფის, ხიშტის და ხმლების კაშკაშში.

1941 წ.

# იწერებოდა სანგრებში

## ლექსები, მეომარი პოეტებისა

ალექსანდრე გომიაშვილი

* * *

თოვლი თოვს შემოდგომისა,
ტყემ ჩამოყარა ფოთოლი. —
მიწაც ნისლშია თავრიდის,
გუგუნებს სევასტოპოლი...
მივდივარ ტრიალს მინდორზე,
როგორც კვირია ობოლი.

1942 წ.
ყირიმი.

მურმან ლებანიძე

* * *

გარიაჩი-კლიუჩიდან კრასნოდარამდე
ცრემლით და სისხლით განაბანები
და ნაღმსატყორცნთა გუთნით მოხნული
ამწვანებულან შარაგანები.
გარიაჩი-კლიუჩიდან კრასნოდარამდე
ცას რომ ბზარავდა გრგვინვა-გუგუნი,
გზას გინათებდა ციცინათელა,
გზას გინათებდა ერთი შუქური.
გარიაჩი-კლიუჩში ლაზარეთია,
იქ ცხოვრობს ერთი ქალი ნათელი,
შენ ბერლინამდე გზას გაგინათებს
ოქროს ნაწნავთა მისი კანდელი.
გარიაჩი-კლიუჩიდან კრასნოდარამდე
შენ გახსოვს სისხლთან სხვა სიტკბოება.
გარიაჩი-კლიუჩიდან კრასნოდარამდე
შენი სიცოცხლე არის პოემა...
დაჯექ, გალექსე
როცა დრო გექნეს,
ფარაჯიანი
კაცის ცხოვრება.

ყუბანი, 1943.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

### ბერლინისაკენ ვიჩქარი — ვუახლოვდები თბილისს

ის შვინდისფერი საღამო,
მწოლი ხავერდის ყდაში,
ის ლელვიანი დღეები,
ჩემი თბილისი და შენ...
— მშვიდობით!.. — ჩამჩურჩულებდი
ნაზთა ბაგეთა ტრთოლვით,
გულიც თრთოდა და ლღვებოდა,
ვით გაზაფხულის თოვლი.
მე შენი სუნთქვა მესმოდა
და გულისცემა ჩქარი,
ამხელა ვაჟკაცს მმონებდი
ასე პატარა ქალი.
— მშვიდობით... არ გავიხარო,
გიღალატოო თუ მე,
წადიო, გბანდეს ჭრილობას
ჩემი ცრემლები ჩუმი...
შევხვდით და მერე დავშორდით,
იყო წუთები მძიმე,
დაგშორდი, რომ კვლავ შემოგხვდე
გამარჯვებულის ღიმით.
...და ბარდნის თოვლი იანვრის,
გრძელია ზამთრის ღამე,
ელი მოქანცულ თვალებით
ნეტარ შეხვედრის წამებს.
მე ბერლინისკენ ვიჩქარი —
ვუახლოვდები თბილისს,
შორს მივალ, უფრო ახლოა
ჩვენი შეხვედრა ტკბილი.
ახლოა თვალი უცრემლო,
ჩემი თბილისი და შენ...
და ეგ საღამოც — მიმქრალი
ჩემს ლოდინსა და ცდაში.

1944.

აკაკი გეწაძე

### წერილი დას სტალინგრადიდან

ქართული დილა თვალებს გაახელს
და შენ სკოლისკენ მიეჩქარები.
მზე ოქროს სხივებს მთა-ბარს დააფენს,
ახმაურდება სკოლის კარები.

შენს წინ თბილი მზე შარას ანათებს,
გულში ხალისი ჩაგგუბებია,
მე კი ვუმაგრებ მხარს ამხანაგებს,
გრიგალურ ცეცხლით მტერს რომ ხვდებიან.

ვოლგასთან წვება კვამლი და მტვერი
და ჩვენ აქ ვდგავართ სიცოცხლის ძალად.
ვიბრძვით და გვჯერა:
ვერაგი მტერი
ვერ დაიმონებს სტალინის ქალაქს.

სიმტკიცე უჩანს ყველას თვალებში,
ყველა მებრძოლი გმირის დარია.
მე მტერს ვაგზავნი მოუსავლეთში...
შენ კი სკოლისკენ მიგიხარია.

1942 წელი, სექტემბერი. ქ. სტალინგრადი.
მოქმედი არმია.

ლადო სულაბერიძე

### სანგარი

პატარა ბარით გავჭერი,
პატარა სიგრძე-განი აქვს,
შავი ზღვის გალავანია,
ყირიმის გალავანია.

ხან ქარი ღრუბელს მომაშლის,
ხან ციდან თოვლი დამათოვს,
წუხელ რარიგად ყინავდა,
ამ თხრილმა როგორ გამათბო.

ის მიჯობს სამარედ მექმნეს,
მტერმა ვით გადამითელოს.
აქედან უკან წასულსა
მზემ დილა არ გამითენოს.

პატარა ბარით გავჭერი,
პატარა სიგრძე-განი აქვს.
აულებელი რამ არის,
ურყევი გალავანია.

იგი მე მიცავს, მე — იმას,
ის ჩემი სახლის კარია.
მამულის ფარად მე ვდგავარ.
მამული ჩემი ფარია.

ყირიმი. 1942.

შალვა ამისულაშვილი

### რა უნაზესი საღამო მოდის

დონზე ჯავშანი აღარა წივის,
ცას დილიდანვე სიმშვიდე ახლავს.
ყინულის ფხაზე გადატყდა სხივი,
არ იმოსება მიდამო თალხად...

მომშუშებია ჭრილობა მკერდზე, —
და ვამჩნევ, გულიც სხვაგვარად ფეთქავს.
ძმური სალამი უშიშარ მხედრებს,
ქვას მუშტით გასტეხს ვაჟკაცი თქვენთან.

რა უნაზესი საღამო მოდის,
თითქოს ლაჟვარდის მეხება ფრთები.
ვარდივით მყვავის ყინულის ლოდი,
ღვინით გაზრდილი ულვინოდ ვთვრები...

მართლა დღე არის ასე ლამაზი,
თუ ხილვა ჭირთან გამაგრებულის...
სად ვპოვო კარი გადასარაზი,
წინ დავდგომოდი, როგორც ენგური...

მომშუშებია ჭრილობა მკერდზე, —
და ვამჩნევ, გულიც სხვაგვარად ფეთქავს.
ტკბილია მწარე წუთების შემდეგ
ბრძოლა და ლხენა, ბიჭებო, თქვენთან!

უკრაინის მეორე ფრონტი.
1943 წ. სოფ. ბურდინო.

ვახტანგ გორგანელი

### ბრძოლის შემდეგ

ბლინდაჟებში მთვარის შუქზე
მებრძოლები კითხულობენ წერილს.
მე კვლავ ისევ შენს გზას ვუმზერ
და შტაბიდან ფოსტალიონს ველი.

მე შენს ამბავს ნიავს ვკითხავ,
მაგრამ ისიც ხმას არ იღებს, არა!
გაგრძელდება კიდევ დიდხანს?
მდუმარება ნუთუ აღარ კმარა!

ცეცხლით სავსე გული მიცემს,
გადვიხადე ხელჩართული ბრძოლა,
შორს მტრის ტანკი ახლაც ისევ
მიტოვებულ ბუხარივით ბოლავს.

როცა ბრძოლის დაჰკრავს ჟამი,
შენ გიფიცებ, შენ მიგიტან გულთან.
წერილს არ მწერ, მე კი ამით
მეგობრები მახელებენ მუდამ.

ბლინდაჟებში მთვარის შუქზე
მებრძოლები კითხულობენ წერილს.
მე კი ისევ შენს გზას ვუმზერ
და შტაბიდან ფოსტალიონს ველი.

სტალინგრადი. 1942.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

# ლახვარი



მ. ვადბოლსკის ნახატი.

ჩონჩხები: (აღშფოთებით) ისინი თუ შეუშვით სამოთხეში, ჩვენ რა დავაშავეთ. ჩვენც ხომ შევასრულეთ ვალი სამშობლო გერმანიის წინაშე, უმოწყალოდ ვმუსრეთ არა არიელნი: სლავიანნი და ჰურიანი, მხცოვანნი და ყრმანიც არ დავინდვეთ, ცოცხლადაც მრავალი დავფალით მიწაში, ყველა, ვისაც არიული სისხლი არ აღმოაჩნდა ძარღვებში.

ანგელოსი: (გაოცებული) რაოდენნი შეყრილხართ სულნო, ჰერ ჰებელსი იუწყებოდა, მარტოოდენ ათხუთმეტი მიიცვალნენო აღმოსავლეთის ფრონტზე.

კონსტანტინე გამსახურდია



მ. ვადბოლსკის ნახატი

## დემონი

ჰკლავს ბოღმა დანაგუბარი.
სწყურია სისხლის მდინარე,
ხელში დანით და ყუმბარით
ბავშვს ეპარება მძინარეს.

წყეულო! სძულხართ ყველგანა,
მხეცი ხარ სისხლის მდომელი,
ვერ გადურჩები ქვეყანას,
რისხვით ქუხს დაუნდობელი.

სულ მალე გნახავთ ხუნდებში
ხელფეხშეკრული ძალათი,
აჰყავდეთ სახრჩობელაზე,
როგორც მკვლელი და ჯალათი.

ალიო მაშაშვილი



მ. ვადბოლსკის ნახატი

დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოს მწერალთა კავშირი სცემდა იუმორისტულ-სატირულ გაზეთ „ლახვარს", სადაც იბეჭდებოდა ქართველი მწერლების სარკაზმული, სატირული ლექსები, პამფლეტები და მხატვართა კარიკატურები გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. გაზეთში დაბეჭდილი მასალებით ქართველი მწერლები აღვივებდნენ ჩვენს ხალხში ფაშიზმისადმი სიძულვილს.

ქვემოთ ვბეჭდავთ 1941 წლის „ლახვარში" დაბეჭდილ ლექსებსა და კარიკატურებს.

## მაჭანკალი

ამჟამად გერმანიის ყველა ჯანმრთელი მამაკაცი გაწვეულია ჯარში და გარეკილია მეზობელი ერების ასაწიოკებლად.

არიული რასის გამრავლებას სერიოზული საფრთხე ემუქრება, ვინაიდან ახალგაზრდა ქალები უქმროდ, ცარიელი ბრძანებებით ვერ ჩაისახავენ პატარა ფაშისტებს.

ამ საფრთხემ ძალიან დააფიქრა დღევანდელი გერმანიის ფაშისტური ხელმძღვანელობა და მონახეს ასეთი გამოსავალი: ურჩიონ მშობიარობისუნარიან ჯარისკაცთა ცოლებს, განაყოფიერების მიზნით, ომში წასულ ქმრებს უღალატონ.

ამ იდეის პროპაგანდა იკისრა გებელსმა.



ს. კეცხოველის ნახატი

გებელსი: გერმანელო ქალებო, გაიღეთ თქვენი ნამუსი მსხვერპლად სამშობლოსათვის.

ქალები: ბატონო გებელს, თქვენ წაგვართვით და წაიყვანეთ ჩვენგან სასაკლაოზე ლამაზი და ჯანმრთელი ქმრები, მათ ნაცვლად მოგყავთ ინვალიდები, კუზიანები და ბებერი მაიმუნები.

ჩვენ ყოველგვარ დამცირებას ვიტანთ, მაგრამ ეს მეტისმეტია, ჩვენ გული გვერევა ამ ვაჟბატონების დანახვაზე.

გებელსი: ეჰ, თქვენ ქალები ხართ, ჭკუა თვალში გაქვთ და ვერ ხედავთ, რომ ამათ სახე აქვთ მაიმუნის, თორემ სისხლი „წმინდა არიული" აქვთ.

პოლიკარპე კაკაბაძე

პედროს თვალი აეცრემლა,
ვის აქვს კაცის სიბრალული?
კაპიტანმა ღორმუცელამ
თან წაიღო ჩემი ფულიც.

თან წაიღო დავლაც ბლომად,
დაადევით ხელზე ხუნდი...
თორემ რად ღირს ჩემი შრომა,
ოდეს ძარცვავს ქურდსაც ქურდი.

დავით გაჩეჩილაძე.

გაუმაძღარი, მღეჭველი
ზღაპრული მხეცის ყბასავით,
ზიზღის და რისხვის მხვეჭელი
მილიონების ყასაბი.

მის საქმეს სწორად გვიჩვენებს
ეს შემზარავი ნახატი;
დავკრათ, ქვეყანას ვაშოროთ
იგი ჭირი და სახადი.

ირაკლი აბაშიძე

## ჯარისკაცის ჩივილი

გერმანელ ჯარისკაცებს ბრძოლის წინ არყით ათრობენ.
(გაზეთებიდან).

გერმანელმა ჯარისკაცმა
ბევრი სვა და ცოტა ჭამა,
უფროსი რომ დაინახა,
მთვრალს ეჩვენა ერთი სამად.

შეშინდა და ღმერთს შესჩივლა:
თვალწინ მყავდი მუდამ ხატად,
სამ უფროსს რად მინიშნავდი,
ერთმაც სული ამომხადა.

გრიგოლ აბაშიძე



გუროს ნახატი

# ფაშიზმის გულში

მეორე მსოფლიო ომში, რომელშიც მთელი მსოფლიოს ცივილიზაციის, პროგრესისა და დემოკრატიის მომავალი წყდებოდა, საბჭოთა კავშირი იყო ის მთავარი ძალა, რომელმაც გზა გადაუღობა ფაშიზმს. ჩვენმა სამშობლომ თავის ზურგზე გადიტანა ომის მთავარი სიმძიმე, გაუძლო უდიდეს გასაჭირს და გადამწყვეტი როლი შეასრულა ჰიტლერული გერმანიის განადგურებაში.

ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა აგრეთვე წინააღმდეგობის მოძრაობამ, რომელიც ფართოდ გაიშალა ოკუპირებულ ქვეყნებში.

ამ საერთო საქმეში მცირეოდენი წვლილი როდი შეიტანეს გერმანიის წინააღმდეგობის მებრძოლებმა, იატაკქვეშელთა ანტიფაშისტური ორგანიზაციის წევრებმა, რომლებიც ფაშიზმის გულში — გერმანიაში მოქმედებდნენ.

როგორც ცნობილია, გერმანელმა ფაშისტებმა სისხლიანი ტერორი პირველად თავიანთ ქვეყანაში გააჩაღეს. ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე ნაცისტებმა დაიწყეს მასობრივი დაპატიმრებები, მკვლელობები, რბევები.

განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდნენ კომუნისტებს.

მაგრამ არავითარ ძალას არ შეეძლო შეეჩერებინა ის აქტიური წინააღმდეგობა, რომელიც გერმანელმა პატრიოტებმა წამოიწყეს ფაშიზმის გასანადგურებლად.

გერმანიის წინააღმდეგობის ერთ-ერთი აქტიური არალეგალური ორგანიზაცია იყო ე. წ. „წითელი კაპელა". ამ ანტიფაშისტური ორგანიზაციის წევრები მიზნად ისახავდნენ ფაშიზმის განადგურებას შიგნიდან. ორგანიზაციის წევრები ყოველგვარი შესაძლებლობით იბრძოდნენ მეორე მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებისათვის. ამ დამარცხებაში ისინი ფაშიზმის საბოლოოდ მოსპობის ერთადერთ გზას ხედავდნენ.

ეს უშიშარი ადამიანები სამშობლოს მომავლისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ინტერნაციონალისტები იყვნენ. ფაშისტურ გერმანიაში მათი ბრძოლა განსაკუთრებით მძიმე იყო, ხიფათით აღსავსე. საშინელი, მაგრამ იატაკქვეშეთიდან ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეძლეს. ფაშიზმის საბოლოო განადგურებაში გერმანელი ხალხის საუკეთესო შვილებმაც შეიტანეს თავიანთი საპატიო წვლილი.

ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო ჰარო შულცე-ბოიზენი, მამაცი და უშიშარი ადამიანი. ფაშიზმის წინააღმდეგ არალეგალურ ბრძოლაში მას მხარში ედგნენ გაუტეხელი თანამებრძოლები: არვიდ ჰარნაკი, ჰანს კოპი, კურტ შუმახერი, ერიკა ფონ ბროკდორფი, ადამ კუკჰოფი, ოდა შოტმიულერი...

მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა, როცა რეიხის საიდუმლო სამსახურმა მიაგნო წინააღმდეგობის კვალს. ჰარო შულცე-ბოიზენთან ერთად მრავალი ანტიფაშისტი დააპატიმრეს. 31 კაცი და 18 ქალი ნაცისტებმა ხიკვდილით დასაჯეს, 7 პატიმარი დაკითხვისას საშინელი წამებით მოკლეს, ცოცხლად დარჩენილი პატრიოტები საკონცენტრაციო ბანაკების ჯურღმულებში ჩაყარეს.

ამ გმირი ადამიანების სახელები ახლა საყოველთაოდ ცნობილია. მთელი მსოფლიოს პროგრესული ადამიანები დღეს მოწიწებით იხრიან ქედს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მათი წვლილის, მათი ხსოვნის წინაშე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტრადიცია გრძელდებ

CA



პოლკოვნიკი ოთარ ლესელიძე — სახელოვანი სარდლის, საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძის შვილი — ამჟამად თბილისის 26 კომისრის სახელობის არტილერიის მეთაურთა უმაღლესი წითელდროშოვანი სასწავლებლის კურსანტთა დივიზიონის მეთაურია.

ოთარ ლესელიძე 17 წლის ჭაბუკი იყო, როცა მოხალისედ წავიდა ფრონტზე. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი სასწავლებლად გააგზავნეს თბილისის არტილერიის სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა.

გამოცდილი, მცოდნე, პრინციპული, კურსანტებთან მუდამ გულისხმიერი ოფიცერი ოთარ ლესელიძე, თავის კოლეგებთან ერთად, ძალასა და ენერგიას არ ზოგავს, რომ თბილისის არტილერიის წითელდროშოვანი სასწავლებელი საბჭოთა არმიის მეთაურთა ერთ-ერთი ღირსეული სამჭედლო იყოს.

ახალგაზრდები აქ მონდომებით სწავლობენ, ეუფლებიან არტილერიის რთულ მეცნიერებას, ღრმად და საფუძვლიანად ითვისებენ სამხედრო ხელოვნების სტრატეგიას, ტაქტიკას...

მამა-პაპათა ღირსეული ცვლა საიმედოდ დგება სამშობლოს დაცვის სადარაჯოზე. ისინი მზად არიან გააგრძელონ სახელოვანი ტრადიციები, ხალხის მშვიდობის დაცვას, სამშობლოს კეთილდღეობის დაცვას შეალიონ მთელი თავიანთი ძალ-ღონე.

საკლასო მეცადინეობა.

გახსენება

პრაქტიკული მეცადინეობა.

სოსო დავითაშვილის ფოტო.



# ომი ციფრებში

1939 წლის 1 სექტემბერს ფაშისტური გერმანიის 50-ზე მეტი დივიზია, ათასობით ტანკი და თვითმფრინავი შეიჭრა პოლონეთის ტერიტორიაზე. დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, რომელიც 6 წელი გაგრძელდა.

---

მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა ჩვენი პლანეტის 22 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე. ომში ჩაება 60-ზე მეტი სახელმწიფო, რომლებშიც მთელი კაცობრიობის 80 პროცენტი ცხოვრობდა.

---

მეორე მსოფლიო ომმა იმსხვერპლა 54 მილიონ 800 ათასი ჯარისკაცი და მშვიდობიანი მცხოვრები. დაიჭრა 90 მილიონი კაცი, რომელთაგან 28 მილიონი სამუდამოდ დაინვალიდდა.

---

არასრული მონაცემებით, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დაინგრა 21 მილიონი საცხოვრებელი სახლი. მარტო საბჭოთა კავშირში უსახლკაროდ დარჩა 25 მილიონი ადამიანი. ომით გამოწვეული საერთო ნგრევა 4 ტრილიონ დოლარზე მეტად არის შეფასებული.

---

მეომარ სახელმწიფოებს ომი, სავარაუდო შეფასებით, 1500 მილიარდი დოლარი დაუჯდათ (აქ არ შედის ნგრევისა და მატერიალური დანაკარგის ფულადი შეფასება). ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავისი სამხედრო ხარჯები 318 მილიარდი დოლარით შეაფასა, ინგლისმა — 300 მილიარდი დოლარით. გერმანიას, იტალიასა და იაპონიას ომი 420 მილიარდი დოლარი დაუჯდათ.

---

20 მილიონი ადამიანიდან, რომლებიც საბჭოთა კავშირმა მეორე მსოფლიო ომის დროს დაკარგა — ნახევარზე მეტი მშვიდობიანი მოსახლეობა და გერმანელთა მიერ დახოცილი სამხედრო ტყვეები იყვნენ.

---

საბჭოთა ტერიტორიაზე ჰიტლერელმა ოკუპანტებმა დაანგრიეს 1 710 ქალაქი და ქალაქის ტიპის დაბა, დაწვეს და მოსპეს 70 ათასი სოფელი, 32 ათასი სამრეწველო საწარმო. ფაშისტებმა აყარეს 65 ათასი კილომეტრი სიგრძის რკინიგზა, გააფუჭეს ან გერმანიაში გაიტანეს 16 ათასი ორთქლმავალი და 428 ათასი სარკინიგზო ვაგონი.

---

დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის მთელი მატერიალური დანაკარგი შეფასებულია 2 ტრილიონ 600 მილიონ მანეთად.

---

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ოთხმა დიდმა სახელმწიფომ — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა, გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა დაამზადეს 653 ათასი თვითმფრინავი და 287 ათასი ტანკი.

სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა მრეწველობამ გამოუშვა 488 ათასი საარტილერიო ქვემეხი, 137 ათასი თვითმფრინავი, 104 ათასი ტანკი და თვითმავალი-საარტილერიო დანადგარი.

---

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, პირველი დახმარების სახით, დამშეულმა ბერლინმა საბჭოთა მთავრობისაგან მიიღო 96 ათასი ტონა ხორბალი, 60 ათასი ტონა კარტოფილი, დაახლოებით 50 ათასი სული დასაკლავი პირუტყვი, შაქარი, ცხიმეული და სხვა პროდუქტები.

---

1946 წელს სსრკ უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა. მეოთხე ხუთწლედში (1946-1950 წლები) ჩვენს ქვეყანაში აღსდგა და აიგო 6 200 მსხვილი სამრეწველო საწარმო.

მეხუთე ხუთწლედში მწყობრში ჩადგა 3.200 ახალი მსხვილი სამრეწველო საწარმო.

# კროსვორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ჰორიზონტალურად:** 5. საბჭოთა კავშირის გმირი. 8. წყალქვეშა გემის ყოფილი კაპიტანი, საბჭოთა კავშირის გმირი. 9. გვარდიის ყოფილი მეორე არმიის სარდალი, რომლის ხელმძღვანელობითაც აღებულ იქნა ქ. კენიგსბერგი და აღმოსავლეთ პრუსიის ტერიტორია. 10. სამხედრო და სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტების დანგრევა მოწინააღმდეგის ზურგში. 15. ყოფილი მე-18 არმიის განსაკუთრებული განყოფილების უფროსი, გადამდგარი გენერალ-მაიორი. 18. დაბრკოლება, ზღუდე. 20. საბჭოთა კავშირის გმირი, რომელმაც სიცოცხლის ფასად გაანადგურა მოწინააღმდეგის ტანკი. 22. წყალქვეშა ნავების მოსასპობად განკუთვნილი გემი. 23. კუნძული, სადაც გერმანელებმა ქართველი ტყვეებისაგან შექმნეს კოლონია. 24. „მცირე მიწაზე" პირველი დესანტის მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი. 29. არეულობა, ქაოსი. 30. საკოლმეურნეო შრომისა და სამამულო ომის ვეტერანი, სოციალისტური შრომის გმირი. 31. გმირი ქალაქი.

**ვერტიკალურად:** 1. ცხოველის დასაჭერი ყულფიანი სასროლი თოკი. 2. პარტიზანული რაზმის ხელმძღვანელი უკრაინაში. 3. სახელმწიფო აზიაში. 4. საშუალო ტანის ხე. 6. ცემენტის გამომგონებელი. 7. სამხედრო საჭურველი, იარაღი. 11. ესპანური და პორტუგალიური სამანძიანი ხომალდი შუა საუკუნეებში. 12. საბჭოთა კავშირის გმირი, რომელმაც რაიხსტაგზე ერთ-ერთმაააფრიალა გამარჯვების დროშა. 13. მცენარის უჯრედებისა და ქსოვილების დაძაბულობა. 14. გრძელი დერეფანი. 16. მალი, სწრაფი, ჩქარი. 17. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი. 19. მე-18 არმიის ყოფილი სამხედრო საბჭოს წევრი. 21. მე-18 არმიის ყოფილი სარდალი. 25. ერთი და იმავე სიმაღლის ორი ან რამდენიმე ტონის ერთდროული ჟღერა. 26. მუსიკალური საკრავი. 27. ქალაქი რუსეთში. 28. კვანძი.

შეადგინა **ციალა მეტრეველმა**

გადაეცა ასაწყობად 9/IV-75 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/V-75 წ. ქაღალდის ზომა 70×108¹/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 52 100 შეკვ. № 1518 უე 01907 ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 95-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.


ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინგრადის ბრძოლის გმირთა ძეგლი ანსამბლი.

ბ. კაპიაშვილის ფოტო.



თ. არჩვაძე — მოზეიმე მოსკოვი.







ეროვნული
ბიბლიოთეკა




# ომის გზებზე

ჱვგენი ხალდეის ფოტო.



